# ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/
Akhali Ganatleba

№2 (916) გამოდის 1998 წლიდან

11-17.02.2021





უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, ყველა სკოლაში, V-XII კლასის მოსწავლეებისთვის პირბადის ტარება აუცილებელი იქნება. დეტალური ინსტრუქციები სკოლებს დაეგზავნა.


**2** ანა ფირცხალაიშვილი

## საერთაშორისო კონფერენცია – განვითარებაზე ორიენტირებული სისტემები ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ განათლებაში

➪ კახა ერაძე
➪ ლაშა მარგიშვილი

**4** ვერიკო მაჩხანელი

## საგანმანათლებლო ლიდერი

მთავარია, სკოლის მენეჯმენტი ორიენტირებული იყოს სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე

**6** ლალი თვალაბეიშვილი

„ახალი სკოლის მოდელის“ 2020 წლის შემაჯამებელი ფორუმი

**9** ლალი ჯელაძე




**10** მაკა ყიფიანი



ხარისხის განვითარება

# საერთაშორისო კონფერენცია – განვითარებაზე ორიენტირებული სისტემები ზოგად და პროფესიულ განათლებაში

ანა ფირცხალაიშვილი

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ტრადიციული საერთაშორისო კონფერენცია მაინც გამართა, თუმცა – ონლაინ რეჟიმში. მიზანიც იგივეა, რაც წინა წლებში – გატარებული რეფორმების შედეგების სრული სურათის წარდგენა ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორებისთვის და იმ გამოწვევებისა თუ პრობლემების წამოწევა და განხილვა, რის დაძლევაც მოუწევს განათლების სისტემას ხარისხის განვითარების კუთხით.

წლევანდელი კონფერენცია, გარდა იმისა, რომ დისტანციურად მიმდინარეობდა სამი დღის განმავლობაში, გამორჩეული იმით იყო, რომ განსახილველ საკითხთა ნუსხაში პირველად შევიდა პროფესიული და ზოგადი განათლება (წინა სამი კონფერენცია უმაღლეს განათლებაში ხარისხის განვითარების საკითხებს ეძღვნებოდა), რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებამ განაპირობა. 2026 წლისათვის ყველა საჯარო სკოლამ ეტაპობრივად უნდა გაიაროს ავტორიზაცია (კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის ეს ვალდებულება 2010 წლიდან მოქმედებს). მთავარი გამოწვევაც სწორედ ესაა არა მარტო ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, არამედ მთელი სისტემისთვის. განათლების მინისტრმა კონფერენციის გახსნისას, 2021 წელი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში გარდატეხის წლად გამოაცხადა. პირველ რიგში, ეს სიმძიმე ხარისხის ეროვნულ ცენტრზე მოდის. მოსამზადებელ სამუშაოებზე რომ არაფერი ვთქვათ, საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესში ჩართვა 10-ჯერ მეტ ბენეფიციარს ნიშნავს ცენტრისთვის, რომელთა შეფასება და უკუკავშირი სწორედ მისი პრეროგატივაა.

რით დაიწყება ავტორიზაციისთვის მზადება ზოგად განათლებაში და რა ეტაპები იქნება გასავლელი ამ მიმართულებით, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, **კახაბერ ერაძის** პასუხიდან ვიგებთ: *„დიახ, ეს ნამდვილად პოლიტიკური ნებაა და არც ისე იოლად შესასრულებელი, რადგან ერთი წელი არც ისე დიდი დროა იმისთვის, რომ ხარისხის სისტემა მთლიანად გამართო და ფეხზე დააყენო, თუმცა კილომეტრის გავლა ხომ პირველი ნაბიჯით იწყება და ჩვენც ასე მოვიქცევით — უპირველეს ყოვლისა, ეს იქნება ცვლილებები კანონებში ზოგადი განათლებისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ, ასევე ავტორიზაციის შესახებ დებულებაში. მიზანი ავტორიზაციის სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაა, ასევე აუცილებელი პირობაა, იგი მოერგოს „ახალი სკოლის მოდელს“, რომელიც უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ინერგება ჩვენს სკოლებში. ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ფეხი უნდა აუწყოს ამ სიახლეს. მკითხველისთვის რომ ცხადი გახდეს, თუ რატომაა აუცილებელი არსებული სტანდარტების შეცვლა, მარტივად გეტყვით, იმიტომ რომ ძველი სტანდარტი საკმაოდ ხისტია. ის ერთნაირია 6-ბავშვიანი სკოლისთვის, რომელიმე სოფელში და 600-ბავშვიანი სკოლისთვის – ქალაქში. ახალ სტანდარტში აქცენტი უნდა გაკეთდეს სკოლის, როგორც სასწავლო დაწესებულების მისიაზე, უნდა გაჩნდეს არა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შექმნილი, არამედ ალტერნატიული კურიკულუმები, სკოლებს, გაზრდილი ავტონომიურობის ფარგლებში, მეტი თავისუფლება მიეცემათ, შემოქმედებითად მიუდგნენ სასკოლო კურიკულუმების შედგენას და მათ განხორციელებას, რათა მაქსიმალურად წარმოჩინდეს კონკრეტული სკოლის უნიკალურობა.*

*მეორე და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება აქცენტის გადატანა სკოლის განვითარებაზე. სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მოქმედი ორდონიანი სისტემა – შეესაბამება, არ შეესაბამება – განვითარების კომპონენტს საერთოდ არ ითვალისწინებს. „არ შეესაბამება“ – განაჩენია, სკოლა კარგავს ავტორიზაციას. ახალი, ე.წ. შუალედური შეფასებები – ნაწილობრივ შეესაბამება ან მეტწილად შეესაბამება – საშუალებას აძლევს სასწავლო დაწესებულებას, გონივრულ ვადაში დაძლიოს ის ხარვეზი, რაც სტანდარტთან სრულ შესაბამისობამდე აკლია. გარდა ამისა, მეტი აქცენტი გაკეთდება პროგრამულ ნაწილზე, რადგან ავტორიზაცია მაინც ინსტიტუციური სტანდარტების შეფასება უფროა, ხოლო სასწავლო პროგრამა, თავისი არსით, ნაკლებად შეფასებადია ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების პირობებში. შესაბამისად, ცალკე სტანდარტი დაეთმობა სასკოლო კურიკულუმს, მის ხარისხს და განხორციელებას. აქვე უნდა ითქვას კიდევ ერთი აუცილებლობის შესახებ, ვგულისხმობ ავტორიზაციის საბჭოების, როგორც შემფასებლების როლის გაძლიერებას. მას, ახალი კონცეფციის მიხედვით, მხოლოდ ვერდიქტი აღარ გამოაქვს – შეესაბამება ან არ შეესაბამება, არამედ შუალედური შეფასების პირობებში რეკომენდაციები უნდა მისცეს სკოლას, თუ რა და როგორ გამოასწოროს. განმავითარებელი კომპონენტის შეთავსება ზრდის საბჭოს როლსა და მანდატს; საჭირო იქნება ექსპერტთა კორპუსის ტრენინგიც, მათი გადამზადება ახალი ხედვებისა და მიდგომების შესაბამისად“.*

უმნიშვნელო ცვლილებებს ნამდვილად ვერ უწოდებ იმას, რაზეც ბატონმა კახაბერმა ისაუბრა, ძალიან სერიოზული სამუშაო ელის ხარისხის განვითარების ცენტრს მათ განსახორციელებლად და დასანერგად. არანაკლებ მნიშვნელოვანია რამდენად ადეკვატურად აღიქვამენ ამ პროცესს თავად სკოლები და რამდენად სწორი, სათანადო რეაქცია იქნება მათი მხრიდან – სიახლის მიღებისათვის მზაობაც ხომ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია წარმატებისთვის, მით უმეტეს, რომ ხარისხის შიდა სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით მართლაც სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი.




განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების თვალსაზრისით, კონფერენციაზე გაცილებით სრულყოფილად წარმოჩინდა პროფესიული განათლება. ჩვენ არა ერთი საგაზეთო სტატია მივუძღვენით აქ მიმდინარე რეფორმას, რომელთა შესახებაც ონლაინ კონფერენციიდან დეტალურად შეიტყვეს ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა. გასული წელიც ძალიან პროდუქტიული იყო სისტემისთვის. მოკლედ ჩვენს მკითხველსაც შევახსენებთ რამდენიმე სიახლის შესახებ. შარშან, თებერვალში, ძალაში შევიდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და კოლეჯებს მოუწიათ მასთან შესაბამისობაში მოსვლა. მართალია, ამ პროცესს დაერთო პანდემია, მაგრამ სისტემამ მეტ-ნაკლები წარმატებით მაინც გაართვა თავი რეფორმის ამ მნიშვნელოვან ეტაპს; ამოქმედდა წინარე განათლების აღიარების მექანიზმები – რაც ვიცი, ხელახლა აღარ უნდა ვისწავლო – ანუ, შემოვიდა ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების რეგულაციები და დაიწყო მათი სისტემაში დანერგვა; ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე იყო პროფესიული კრედიტების სისტემის დანერგვა (მანამდე უმაღლეს განათლებაში არსებული წესის ანალოგი მოქმედებდა, რაც ნაკლებად შეესაბამებოდა პროფესიული განათლების სპეციფიკას), რამაც ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, 2-3-წლიანი საკვალიფიკაციო პროგრამების პარალელურად, სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მეტად მორგებული და მოქნილი, პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემის მასშტაბების ზრდა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, პოსტპანდემიური ეკონომიკის აღდგენაში ყველაზე დიდი როლი პროფესიულმა განათლებამ უნდა შეასრულოს. ამ ფონზე კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა მომზადება-გადამზადების პროგრამების ფორმალიზებამ; კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც პროფესიულმა განათლებამ გაიარა, თვითშეფასების სისტემის დანერგვაა. ამ კომპონენტში იყო შემთხვევები, როცა პროფესიული სასწავლებლების თვითშეფასებასა და ექსპერტების შეფასებებს შორის აცდენები აღინიშნა. ამიტომ ბევრი რამ დასახვეწია. პირველ რიგში, ძალზე დაბალია ობიექტურობის ხარისხი, თუმცა, მაინც კარგი პრეცედენტია, რადგან იქმნება სრული სურათი იმისა, თუ რისი გამოსწორებაა საჭირო როგორც სისტემურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. საბედნიეროდ, პროფესიულ განათლებას სოლიდური დონორული და მზარდი საბიუჯეტო მხარდაჭერა აქვს, მათ შორის გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის მხრიდან. უკვე ცნობილია მიმდინარე წლის აუცილებელი ინტერვენციები პროფესიულ განათლებაში ხარისხის გასაუმჯობესებლად. ერთ-ერთი პირველი, ეს არის ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერება.

თვითშეფასებამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ბევრი რამ კეთდება, მაგრამ არ არსებობს ამის დოკუმენტური დადასტურება. მნიშვნელოვანი მუშაობის გაწევა იქნება საჭირო იმისთვის, თუ როგორ გააკეთონ კოლეჯებმა საკუთარი მდგომარეობის სწორი და ობიექტური ანალიზი და მიიღონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით სამუშაო ისევ ბევრია, ბატონი კახაბერი, შეფასებისას, შეიძლება ითქვას, ლოიალურია, ამბობს, რომ *„თვითშეფასების დიდი ტრადიციებისა და კულტურის ქვეყნებშიც კი, თვითშეფასებასა და გარე შეფასებას შორის აცდენები არის და ეს ნორმალურია. სხვათა შორის, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გარე შეფასება უფრო მაღალი იყო, ვიდრე თვითშეფასება. ასე რომ, აცდენა, სავარაუდოდ, ყოველთვის გვექნება, მთავარია აცდენის მასშტაბები იყოს მინიმალური. თავისთავად, ამაში არაფერი ტრაგიკული არაა. მხარეები ხვდებიან ერთმანეთს (საბჭოს ან ცენტრის ფორმატში), განიხილავენ და შეჯერდებიან. ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი პრინციპიც ეს არის – თვითშეფასება პირველი ნაბიჯია, ამის გარეშე ხარისხზე ლაპარაკიც ზედმეტია. თვითშეფასების პროცესის პილოტირება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ცოტა მოგვიანებით, 2022 წელს, დაიწყება.“*

ერთი წელი მართლაც არ არის დიდი დრო თვითშეფასებასთან მისასვლელად, მაგრამ როცა არსებობს გამოცდილება, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო, ერთი შეხედვით, ეს საქმეს აადვილებს. მეორე მხრივ, როცა სკოლებზეა საუბარი და 2000-ზე მეტი თვითშეფასება იქნება შესასწავლი, დღის წესრიგში დგება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის როლი – ელექტრონული თვითშეფასების მხარდაჭერა. *„ვერანაირი ადამიანური რესურსი ვერ აუვა 2200 თვითშეფასების ანალიზსა და უკუკავშირის მიცემას. აუცილებელია ამ პროცესის გაციფრულება. ბევრ რამეში დაგვეხმარება კომპიუტერი, თუმცა ადამიანური ინტელექტი მაინც შეუცვლელია ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში“ .*

*„განსაკუთრებული სიახლე ელოდებათ პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებს. სულ მალე, ამოქმედდება მასწავლებლის პროფესიაში შესვლის და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა. ამჯერად, რამდენიმე მოდელი ან მათი ერთობლიობა განიხილება. პარალელურად, მუშავდება პროფესიული მასწავლებლის დაფინანსებისა და ანაზღაურების სქემა და მოდელი, რომელიც ერთიანი სისტემის ნაწილი იქნება. პროფესიული განათლების მასწავლებლობა იქნება სტატუსური, ძირითადი პოზიცია, როგორც კარიერული განვითარების შესაძლებლობის მქონე ისევე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლობაა. შესაბამისად, განისაზღვრება პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და ანაზღაურების სქემა და წესი. ანაზღაურება გაითვალისწინებს მასწავლებლის დამსახურებას, გამოცდილებას, მეტ პროფესიულ დაოსტატებას. ამ სიახლეებს საზოგადოება მიმდინარე წლის პირველ ნახევარშივე შეიტყობს.“* – აღნიშნა კახაბერ ერაძემ.

❖ ❖ ❖

კონფერენციაში მონაწილეობდნენ, როგორც დამოუკიდებელი, ისე სხვადასხვა ინსტიტუციების წარმომადგენელი საერთაშორისო ექსპერტები. მათ გაიზიარეს ქართული მხარის ხედვები ახალ სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებით. ფასდაუდებელი იყო მათი რჩევები და რეკომენდაციები სტანდარტების შეცვლასა თუ სხვა პროცედურებთან მიმართებაში, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი მოსაზრებები პანდემიის პირობებში, ხარისხის უზრუნველყოფისათვის როგორც პროფესიული განათლების, ისე ზოგადი განათლების ნაწილში. *„დავინახეთ, რომ ყველანი ექსპერიმენტირების რეჟიმში ვართ, არ არსებობს ყველასთვის მისაღები რაიმე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ისინიც ისევე ეძებენ გამოსავალს, როგორც ჩვენ და ეს მოსაზრებები გავუზიარეთ ერთმანეთს. მათთვის საინტერესო აღმოჩნდა და ჩვენთვის საამაყოა, რომ პროფესიულ სტანდარტებში მოვახდინეთ იმ შედეგების იდენტიფიცირება, რომელიც დისტანციური სწავლებისას შეიძლება განხორციელდეს, დისტანციურ შეფასებაზეც გვაქვს ჩვენი რეკომენდაციები.*

*პროფესიულ განათლებაში მიმდინარე პროცესებს მაღალი შეფასება მისცეს გერმანელმა კოლეგებმა. ესტონელმა კოლეგებმა დადებითად შეაფასეს კრედიტების სისტემის შემოღება, რაც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან სრული ჰარმონიზაციის საშუალებას იძლევა.*

*ზოგადი განათლების ნაწილში „ტელესკოლა“ აღიარეს წარმატებულ პროექტად და მაღალი შეფასება მისცეს ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით“* – აღნიშნა კახაბერ ერაძემ.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მომუშავე გავლენიანმა საერთაშორისო ინსტიტუციების წარმომადგენლებმა კონფერენცია წარმატებულად შეაფასეს. კახაბერ ერაძის მოკლე შეფასება კი ასეთია – *„თითოეულმა ჩვენგანმა რეალისტურად დაინახა ყველა გამოწვევა, რაც წინ გველოდება. ასე რომ, არაფერი დასრულებულა, ვიცით რა უნდა ვაკეთოთ და ვაგრძელებთ მუშაობას“.*

ხარისხის განვითარება

# ხარისხის გასაუმჯობესებლად უმაღლეს განათლებაში

უმაღლესი განათლების მიმართულების სესიებს, კონფერენციის ორი დღე დაეთმო. მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი ძირითად თემები: ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ძირითადი მიმართულებები რომის მინისტერიალის შემდეგ; ბოლონიის პროცესის გავლენა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაზე; უმაღლეს განათლებაში მიკრო კრედიტების აღიარების ევროპული და ეროვნული გამოცდილება; სამედიცინო განათლების ხარისხის განვითარება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) განახლებული მოთხოვნების შესაბამისად; უმაღლეს განათლებაში ელექტრონული და შერეული სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში; ევროპის უნივერსიტეტები Covid-19 პანდემიის დროს, სტუდენტთა როლი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებაში.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების შემდეგი წარმომადგენლები: უ დირექტორი მარია კელო, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) პრეზიდენტი დევიდ გორდონი, ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) დირექტორი ჰელი მატისენი, ბელგიის ფლამანდრიის რეგიონის მთავრობის, განათლების სამინისტროს მრჩეველი უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებში მაგალი სოენენი, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA) უმაღლესი განათლების პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორი მიხეილ გაბელი, ევროპის სტუდენტური გაერთიანების (ESU) ვიცე-პრეზიდენტი იაკუბ გროდესკი.

მნიშვნელოვანი და საინტერესო მოხსენება ჰქონდა ცენტრის დირექტორს, **თამარ მახარაშვილს**, რომელმაც მოკლედ შეაჯამა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით 2016-2020 წლებში განხორციელებული ძირითადი აქტივობები და მიღწეული შედეგები. ასევე, განხილულ იქნა, კორონა ვირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ცენტრის წინაშე არსებული გამოწვევები და ამ გამოწვევების დაძლევის მიზნით, ცენტრის მიერ უკვე განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები. ცენტრის დირექტორმა ფართო აუდიტორიას ის ძირითად მიმართულებები წარუდგინა, რომლებზეც ცენტრი 2021-2025 წლებში აპირებს მუშაობას, კერძოდ: ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების მუდმივი სრულყოფა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015) და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებთან მიმართებით; კლასტერული აკრედიტაციის მოდელის შემუშავება და დანერგვა; სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად რელევანტური შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება; ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსების პროფესიული განვითარება და სრულყოფა; საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ცენტრის თანამშრომლების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის უცხოური ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ინსტიტუციურ და პროგრამულ შეფასებებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის შესაძლებლობის გაჩენა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; კონკრეტულ სფეროებში დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვის ხელშეწყობა; ცენტრის მიერ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება და სხვა.

საინტერესო პრეზენტაცია ჰქონდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) დირექტორს, **მარია კელოს,** რომელმაც მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა 2020 წლის რომის მინისტერიალის შედეგებსა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად ხედვებზე. მოხსენებისას აღნიშნა, რომ რომის მინისტერიალის ფარგლებში გამოიკვეთა უმაღლესი განათლების სფეროს სამი ძირითადი პრიორიტეტი, ესენია: ინკლუზიური, ინოვაციური და ურთიერთდაკავშირებული ერთიანი ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის ფორმირება. ამასთან, მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საქმიანობის დამოუკიდებლობისა და მოქნილობის გაზრდის მნიშვნელობაზე, ასევე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე პროცესებში სტუდენტების როლის მნიშვნელობის ზრდაზე.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, **გიორგი შარვაშიძემ**, თავისი მოხსენების ფარგლებში, ისაუბრა ბოლონიის პროცესის გავლენაზე საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაზე. მომხსენებელმა ძალიან საინტერესოდ მიმოიხილა 2005 წლიდან, როდესაც საქართველო გახდა ბოლონიის წევრი სახელმწიფო, დღემდე უმაღლესი განათლების მიმართულებით განხორციელებული რეფორმები და სამომავლოდ არსებული ძირითადი გამოწვევები.

კონფერენციაზე მოხსენებით წარდგა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) პრეზიდენტი **დევიდ გორდონი**, რომელმაც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ განახლებულ სტანდარტებზე ისაუბრა. მოხსენება შეეხებოდა სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად გამოწვევებს, მაგალითად, როგორიცაა – ახალი კორონავირუსის (Covid-19) გავლენა სამედიცინო სწავლებაზე, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი სამედიცინო პროფილის სასწავლებლების, მედიცინის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და ქვეყნის მოსახლეობის თანაფარდობის საკითხები. დევიდ გორდონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის როლი მედიცინის პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში იყო ძალიან მნიშვნელოვანი.

სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, სსპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ჯანდაცვის დარგობრივი საბჭოს თავმჯდომარემ, **გაიანე სიმონიამ**, საკუთარი მოხსენების ფარგლებში, აღნიშნა, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ შემუშავებული ახალი სტანდარტების სრულად გათვალისწინების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, უკვე განხორციელდა ჯანდაცვის დარგობრივი საბჭოს ფორმირება, რომელსაც დაევალა მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის გადახედვა WFME-ის განახლებული სტანდარტების შესაბამისად. გაიანე სიმონიამ ასევე ისაუბრა იმ ძირითად საკითხებზე, რომლითაც განსხვავდება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ შემუშავებული ახალი სტანდარტები წინა სტანდარტებისგან. მან ისაუბრა იქონია პანდემიის გავლენაზე სამედიცინო განათლებაზე, თუ როგორ იყვნენ და არიან დღესაც ჩართულები საქართველოში მოქმედი სამედიცინო სკოლების, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები პანდემიასთან ბრძოლის პროცესებში. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სამედიცინო განათლებაში არსებულ გამოწვევებზე რეაგირების, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ახალი სტანდარტების ანალიზის საფუძველზე, 2021 წელს, ყველა დაინტერესებული მხარის ფართო ჩართულობით, განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის განახლდება მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი და დაიგეგმება შესაბამისი ტრენინგები.

ცალკე მოხსენება დაეთმო ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ქვეყნებში მიკრო კრედიტების, მოკლევადიანი კურსების რეგულირების საკითხებს. აღნიშნულ თემაზე ისაუბრა ბელგიის სამეფოს ფლამანდრიის მთავრობის განათლებისა და ტრენინგის სამინისტროს მრჩეველმა, **მაგალი სოენენმა.** მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ ძირითად საკითხებზე, რომლებზეც ევროპული სივრცის სახელმწიფოებშიც ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა და მიდგომები, მაგალითად: მოკლევადიანი კურსისთვის, რომელიც არ არის უმაღლესი განათლების ნაწილი, რელევანტური ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეზე აღნიშნული კურსებისთვის შესაბამისი დონის განსაზღვრა, ასეთი კურსების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება უმაღლესი განათლების მიზნებისთვის და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ სასერტიფიკატო და მოკლევადიან კურსების განხორციელების საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრეს: სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორმა, **მადონა მიქელაძემ**, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, **თეა კორძაძემ** და შპს კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრის დირექტორის მოადგილემ, **მაია მუშკუდიანმა.** უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ ინსტიტუციებში დიდი ხანია ხორციელდება სასერტიფიკატო კურსები და საკმაო პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. ამასთან, ის ძირითადი საკითხები და გამოწვევები, რომელზეც ყურადღება იყო გამახვილებული მაგალი სოენენის მოხსენებაში, ჩვენს რეალობაშიც იყო ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გაგრძელდეს მუშაობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები.

უმაღლესი განათლების საერთაშორისო ექსპერტებმა – **ფიონა კროზიერმა** და **ანკა გრირმა** წარმოადგინეს კვლევის შედეგები თემაზე – უმაღლეს განათლებაში ელექტრონული და შერეული სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა, საგანგებო რეაგირებიდან პოსტ კოვიდური მოლოდინები. აღნიშნული კვლევა ჩატარდა ცენტრის დაკვეთით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით. წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვან რეკომენდაციებსა და რჩევებს მოიცავს, თუ როგორ უნდა მოხდეს, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით, დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება. მოხსენების ფარგლებში ასევე ყურადღება გამახვილდა თუ რა დამატებითი მექანიზმები უნდა შემუშავდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, რომ უზრუნველყოფილი იყოს დისტანციური ფორმით სასწავლო პროცესის ხარისხიანად განხორციელება. ამასთან, ალინიშნა, რომ კვლევაში ასახული ძირითადი გამოწვევები საერთო იყო როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მოქმედი ბევრი უნივერსიტეტისთვის, რადგან კორონავირუსიდან გამომდინარე, ისინი მოულოდნელად აღმოჩნდნენ ახალი გამოწვევის წინაშე.

ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) დირექტორმა, **ჰელი მატისენმა** მოხსენება წარადგინა ესტონეთში კლასტერული აკრედიტაციის დანერგვის ძირითად ეტაპებზე. მოხსენებაში ხაზგასმული იყო ის დადებითი მხარეები, რაც ახლავს ინდივიდუალური პროგრამების შეფასებიდან კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლას. კერძოდ, აღინიშნა, რომ მოცემული მოდელი, რომელზეც ცენტრი 2022 წლიდან გეგმავს გადასვლას, მნიშვნელოვნად დაზოგავს როგორც ცენტრის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დროით და ადამიანურ რესურსებს. შეფასების ახალი მიდგომა შესაძლებლობას მისცემს ცენტრს, ინსტიტუციის ფარგლებში, ერთი კონკრეტული სფეროს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის პროგრამები შეაფასოს ერთიანად, ერთი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების საფეხურებს შორის მჭიდრო კავშირის დანახვას, ასევე საფეხურებს შორის პროგრამის სწავლის შედეგებში სირთულის დონეების დადგენას. მკაფიოდ გამოჩნდება, როგორ ვითარდება კონკრეტული სფერო ან დარგი, როგორც ერთი ინსტიტუციის ფარგლებში, ასევე ზოგადად, სახელმწიფოში.

მნიშვნელოვანი იყო ევროპის სტუდენტური გაერთიანების (ESU) ვიცე-პრეზიდენტის, **იაკუბ გროდესკის**, ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრის, **პეგი პავლეტიკის** და ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელის, **ნიკა თიკანაშვილის** მოხსენებები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სტუდენტთა ჩართულობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით – როგორ უნდა მოხდეს სტუდენტებს შორის მოტივაციის ამაღლება, რომ უფრო აქტიურად ჩაერთონ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განხორციელებაში. ასევე, განხილულ იქნა ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ ბოლო პერიოდში მიაღწია. კერძოდ, სტუდენტები სავალდებულო წესით წარმოდგენილები არიან უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ყველა დონეზე. მაგალითად: სტუდენტი წარმოდგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოში, ასევე, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოებში, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფებში. ამასთან, ცენტრის დირექტორის, **თამარ მახარაშვილის** მიერ გაჟღერდა ახალი ინიციატივა, რომლის შესაბამისადაც, უახლოეს პერიოდში, ცენტრი იგეგმავს ელექტრონული პლატფორმის შემუშავებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, უფრო მეტი სტუდენტი ჩაერთოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში.



**ლაშა მარბიშვილი**
*ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე*

საგანმანათლებლო ლიდერი

# მთავარია, სკოლის მენეჯმენტი ორიენტირებული იყოს სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე



ვერიკო მაჩხანელი
*სსიპ ქალაქ მცხეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი*

## ვინ უნდა აქციოს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოდ

ალბათ, ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ სკოლის დირექტორობა მარტივი არაა: საქმე გვაქვს ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანებთან, მომავალ თაობასთან და ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევებიც ამ პასუხისმგებლობის გააზრებიდან გამომდინარეობს. ნებისმიერი დირექტორის გზა მკვეთრად ინდივიდუალურია და არავისას ჰგავს – არჩევანიც და გადაწყვეტილებებიც პიროვნული პასუხისმგებლობაა.

XXI საუკუნის სკოლა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. სკოლის დირექტორი არის საგანმანათლებლო ლიდერი, რომელიც ფეხს უწყობს განათლების ცვლილებებს და იგი სკოლის გამოწვევების ავანგარდშია. ვინ უნდა აქციოს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოდ? ესაა მთავარი კითხვა და სხვა დანარჩენი ამ შეკითხვაშია ჩაშენებული.

ვფიქრობ, რომ ყველა სკოლას საკუთარი ინდივიდუალური მახასიათებელი აქვს. ქალაქ მცხეთის №1 საჯარო სკოლა სიახლეების მიმართ გამძაფრებული მოთხოვნილებით და, ამავე დროს, თანამშრომლობითი კულტურით გამოირჩევა.

მაინც ვინ არის სკოლის დირექტორი და რა ფუნქცია აკისრია მას სასკოლო ცხოვრებაში? ამ შეკითხვაზე პასუხს სკოლის დირექტორის სტანდარტი სცემს, მაგრამ ჩემი გადმოსახედიდან, სკოლის დირექტორი დგამს გაბედულ ნაბიჯებს და ანგარიშვალდებულია სასკოლო საზოგადოების წინაშე. სკოლას, რომელსაც შენ ხელმძღვანელობ, ეკავოს ღირსეული ნიშა საგანმანათლებლო სივრცეში – ესაა სახელმწიფოსა და საზოგადოების მთავარი გზავნილი. როგორ ასრულებს კონკრეტული სკოლა ამ მისიას – ეს მიმაჩნია სკოლის დირექტორის მრავალ ფუნქციათა შორის უმთავრესად.

## გამოწვევები

როგორია სკოლის ლიდერის მისია, ხედვა, იდენტობა, რა განსაზღვრავს და აყალიბებს ამას? რას ნიშნავს დირექტორი მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და თემისთვის? – ამ კითხვებს ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს. ნამდვილ ლიდერად გაღიაროს სკოლამ – ეს ჩემი დირექტორის პოზიციაზე მუშაობის მთავარი გამოწვევა, შინაარსი და სურვილია. ვფიქრობ, ეს სასკოლო საზოგადოების შესაფასებელი თემაა.

სკოლის დირექტორის სტანდარტით განსაზღვრული პრინციპებითა და მიდგომებით, სკოლის დირექტორი საგანმანათლებლო ლიდერია, ვფიქრობ, „ლიდერობა“ ძალიან კომპლექსურია და თავისთავად მოიცავს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხების ცოდნას.

**ჩემი აზრით, სკოლის დირექტორის გამოწვევაა:**

- სასტარტო მაჩვენებლების მიმართვა სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
- სკოლაში მოსწავლეთა შეფასების ობიექტური პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა;
- ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდა;
- ნდობის ხარისხის გაზრდა;
- მშობელთა მოლოდინების შესწავლა და მათი ჩართულობის ხარისხის გაზრდა;
- მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაზრდა.

## სკოლის მართვის პრაქტიკიდან

- ჩემი სკოლის მართვის მოდელი სკოლაში არსებული გარემოს შესწავლას ემყარება, რაც საშუალებას გვაძლევს, სკოლამ თავად განსაზღვროს საკუთარი საჭიროებები, დასახოს საკუთარი განვითარების გზა და თვალი ადევნოს საკუთარ პროგრესს.

***ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარმატებულ სკოლაში:***

- აგროვებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები და როგორ ასწავლიან მასწავლებლები;
- რეგულარულად აკვირდებიან სწავლა-სწავლების პროცესს;
- დანერგილია მონაცემთა ანალიზის კულტურა;
- ყოველდღე ფიქრობენ და აანალიზებენ სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესების გზებს;
- იკვლევენ მოსწავლეთა საჭიროებებს.

***ამისათვის მიზნად დავისახეთ:***

- შიდა შეფასების მოქნილი სისტემის შექმნა;
- პროცესებზე დაკვირვებით პრობლემების სიღრმიდან ზედაპირზე ამოტანა;
- პრობლემების გამოსასწორებლად მყისიერი მოქმედება;
- პრობლემების დიფერენცირება;
- სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით სასკოლო შეფასების გაზომვადი მახასიათებლების განზოგადება.

***პირველი ეტაპი***
***სტრატეგიული ამოცანა №1***

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტების შემუშავება.

ინდიკატორები:

1. დიაგნოსტიკური და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება;
2. სკრინინგი;
3. ფოკუსირებული შეფასება;
4. მონაცემთა ანალიზი;
5. რეიტინგული მონაცემების დახარისხება.

***სტრატეგიული ამოცანა №2***
***სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგი***

შეფასება:

- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მონაცემთა ანალიზის დამუშავების პრაქტიკის დამკვიდრება;
- რისკის ჯგუფის კატეგორიების იდენტიფიცირება;
- ყველა კათედრაზე მიმდინარე და განმსაზღვრელი შეფასების სისტემის ანალიზი (მონაცემთა შედარებითი ანალიზი და ეფექტური რეკომენდაციები).

***სტრატეგიული ამოცანა №3***
***პედაგოგთა გუნდური თანამშრომლობის კულტურა.***

## მთავარი ფაქტორები

- მთავარია, სკოლის მენეჯმენტი ორიენტირებული იყოს სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე. შინაარსი და ადმინისტრირება ერთ ფუნქციურ ველს უნდა ქმნიდეს. დირექტორი უნდა იყოს ჭეშმარიტი საგანმანათლებლო ლიდერი, რომელიც სასკოლო კურიკულუმების შემუშავებაშია ჩართული.
- სკოლა ხდება აკადემიური და კვლევითი გაერთიანება/ლაბორატორია, რომელიც ყოველდღიურად მუშაობს და ავითარებს კურიკულუმს, როგორც გზას გრძელევადიანი მიზნების მისაღწევად.
- სისტემატურად აფასებს საკუთარ მიღწევებსა და საფრთხეებს. შედეგად გეგმავს განვითარების საკუთარ გზას – სტრატეგიას.
- სკოლა ერთიანი ორგანიზმია, ორიენტირებული განვითარებაზე.

## მთავარი ხედვა

1. „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, პედაგოგებს მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე უშუალოდ სკოლაში ვესაუბროთ და თანამშრომლობის პირობებში, სასკოლო სივრცეშივე, ვეძებოთ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები;
2. სკოლამ იზრუნოს სტრატეგიულ განვითარებაზე;
3. სასკოლო კულტურა გახდეს თანამშრომლობითი;
4. პროექტი მიმართულია სკოლის, როგორც ერთიანი გუნდის, განვითარებაზე და არა – მცირე რაოდენობით ელიტური მასწავლებლების გამოკვეთაზე; აქცენტი კეთდება სასკოლო კულტურის ყველა მხარეზე და არა რომელიმე ერთ სფეროზე (მაგალითად, შეფასებაზე, ინტერაქტიულ მეთოდებზე და სხვა).

***ინტერვენციის ნაბიჯები***

1. კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმების განვითარება;
2. კომუნიკაციის გასამარტივებლად და სასწავლო პროცესის გასამრავალფეროვნებლად, ტექნოლოგიების გამოყენება;
3. სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო მენეჯმენტის ჩამოყალიბება;
4. მხარდაჭერაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის ჩამოყალიბება.

## თანამშრომლობა და გაზიარება

არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ სკოლებში ურთიერთთანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბება მკვეთრად აუმჯობესებს სწავლისა და სწავლების შედეგებს, ხოლო წარმატებული და შედეგიანი თანამშრომლობის აუცილებელი პირობაა ურთიერთნდობაზე დაფუძნებული გუნდური თანამშრომლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამშრომლობა სრულიად ფორმალურ ხასიათს იღებს და ნაყოფს ვერ იძლევა.

განათლების სისტემაში ამდენი წლის მუშაობის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, თანამშრომლობა და გაზიარებაა ყველაფერზე მეტად შედეგიანი და ეფექტური. მნიშვნელოვანია, რომ ამ გადმოსახედიდან, მასწავლებლებმა საკუთარ თავს იერარქიის კიბეზე მიუჩინონ ადგილი. დარწმუნებული ვარ, მასწავლებლებს და მეც ამ კიბეზე მოსწავლეები, ყველაზე გულწრფელად, დამსახურებულ ადგილს მიგვიჩენენ. დემოკრატია და ჰუმანური განათლების პრინციპები ასეთ მიდგომებს აღიარებს.

კარგი და რეიტინგული სკოლის სახელის დასამკვიდრებლად, ჩვენ ვფიქრობთ, ვსვამთ შეკითხვებს, ვდგამთ თამამ ნაბიჯებს და გვჯერა, რომ გუნდური მუშაობა სკოლის კულტურის ფუნდამენტია და და ეფექტური პროფესიული განვითარების მახასიათებლები ჩვენი გუნდის საქმიანობის მთავარი გამოწვევა და იდეაა:

- ფოკუსი მოსწავლის სასწავლო მიზანზე;
- უწყვეტობა და საგანზე ფოკუსირება;
- კავშირი ყოველდღიურ საქმიანობასთან და საკლასო ოთახში გამოყენება;
- მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
- მასწავლებლის კვალიფიკაციის აღიარება;
- ფოკუსი სწავლისა და სწავლების ეფექტურობაზე;
- მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობები.

## რა ხელშეწყობა სჭირდება დირექტორს

სკოლების დეცენტრალიზაციის ხარისხის გაზრდა სკოლის დირექტორს აძლევს მეტ თავისუფლებას საინტერესო და შინაარსიანი ნაბიჯების გადასადგმელად.

**რა ახალ ტენდენციებს ამკვიდრებს დირექტორების ახალი სტანდარტი**

სტანდარტის ეს მუხლი პოზიტიური სიახლეა:

*დირექტორის მომზადების მიზნით – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სტანდარტების საფუძველზე, ამზადებენ სკოლების მომავალ ხელმძღვანელებს. სტანდარტი, თავის მხრივ, უნივერსიტეტებისთვის არის ორიენტირი, ამ სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი პროგრამების მოსამზადებლად და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წარმატებით გასავლელად.*

## დირექტორთა სერტიფიცირება

დირექტორების სერტიფიცირების ახალ ტალღას ველით. ეს პროცესი, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო, შეფერხდა. მოქმედი კანონმდებლობით, სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი ეტაპებისგან შედგება. ჩემი აზრით, სახელმწიფო ინსტიტუტები ენდობიან და აღიარებენ მოქმედი დირექტორების კომპეტენციას. ეს დასტურდება იმით, რომ მოქმედი დირექტორების სერტიფიკატები განახლებას აღარ ექვემდებარება და ისინი, დირექტორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში, გასაუბრებისა და სამეურვეო საბჭოსთან წარდგენის ეტაპებს გაივლიან.

⇨ „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ხელშეწყობა ჩემი, როგორც სკოლის დირექტორის, მთავარი გამოწვევაა.

დღეს მოსწავლეებისთვის სკოლა არის სივრცე, სადაც მათი განვითარებისთვის ასპარეზი დიდია და სადაც მათ შეუძლიათ იყვნენ სრულიად განსაკუთრებულები. ამ ყველაფრის სასკოლო კულტურის დონეზე შენარჩუნებას დიდი ძალისხმევა სჭირდება. „ერთად, ერთი საქმისთვის“ დევიზით არ ვაპირებთ გაჩერებას.

რეკომენდაციები და წესები

# სამინისტრომ სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში გაგრძელებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები განაახლა

**რეკომენდაციებსა და წესებს შორისაა:**

**მოსწავლის ტრანსპორტირება:**

• სასკოლო ტრანსპორტში ასვლამდე უნდა ჩატარდეს მოსწავლის თერმოსკრინინგი;

• 37 ან მეტი ტემპერატურის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მშობლის ინფორმირება და მოსწავლის სახლში დაბრუნება;

• დასაშვები ტემპერატურის შემთხვევაში, სასკოლო ტრანსპორტით მგზავრობისას, მოსწავლისთვის სავალდებულოა პირბადის ტარება.

**სკოლაში შესვლამდე:**

• თერმოსკრინინგის ჩასატარებლად მოსწავლეები იცავენ 1-მეტრიან დისტანციას;

• სკოლის შენობაში შემსვლელ ნებისმიერ პირს სკოლის წარმომადგენელი უზომავს ტემპერატურას;

• დასაშვები ტემპერატურის შემთხვევაში, პირი გაივლის დეზობარიერს, ანტიბაქტერიული ხსნარით დაიმუშავებს ხელებს და მხოლოდ მას შემდეგ გადაადგილდება დანიშნულების ადგილამდე;

• თერმოსკრინინგისას, 37 ან მეტი ტემპერატურის შემთხვევაში, ხდება პირის სპეციალურად განსაზღვრულ სივრცეში გადაყვანა და 15 წუთის შემდეგ, განმეორებით, სამედიცინო თერმომეტრით ტემპერატურის გადამოწმება;

• 37 ან მეტი ტემპერატურის შემთხვევაში, მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ტექნიკური პერსონალი და გარეშე პირები სკოლაში არ დაიშვებიან;

• 37 ან მეტი ტემპერატურის შემთხვევაში, მოსწავლე სკოლის წარმომადგენელს გადაჰყავს წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში. სკოლა უკავშირდება მოსწავლის მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე. მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, დაუკავშირდეს 112-ს, შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად.

**მოსწავლის პირადი ჰიგიენა სკოლაში:**

• სკოლის საერთო სივრცეებში V-XII კლასის მოსწავლეები უნდა გადაადგილდნენ მხოლოდ პირბადით;

• მოსწავლემ, სკოლაში გადაადგილებისას, უნდა დაიცვას 1-მეტრიანი დისტანცია;

• საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ, მოსწავლემ ხელები უნდა დაიბანოს საპნით, გაიმშრალოს ქაღალდის ხელსახოცით;

• გაკვეთილზე ხელის დაბინძურების შემთხვევაში, მოსწავლემ ხელები უნდა დაიმუშაოს სადეზინფექციო ხსნარით;

• ხველების ან ცემინების შემთხვევაში, მოსწავლემ სახეზე უნდა აიფაროს მოხრილი იდაყვი ან გამოიყენოს ერთჯერადი ხელსახოცი. გამოყენების შემდეგ, ხელსახოცი მოსწავლემ უნდა მოათავსოს თავდახურულ ურნაში;

• საკვების მიღებამდე და შემდეგ, მოსწავლემ აუცილებლად უნდა დაიბანოს ხელები დადგენილი წესით.

**რეკომენდაცია მშობლებს:**

• შვილის ცხელების ან რესპირაციული სიმპტომების შემთხვევაში, ბავშვი ექვემდებარება სახლში დარჩენას;

• მშობელი ვალდებულია, სკოლას აცნობოს შვილის გამოუცხადებლობის მიზეზი და უზრუნველყოს ოჯახის ექიმის გამოძახება ან მისი გადაყვანა ცხელების ცენტრში.

**რეკომენდაცია მასწავლებლებს:**

• სკოლის საერთო სივრცეებში მასწავლებელი უნდა გადაადგილდეს მხოლოდ პირბადით;

• სკოლის შენობაში შესვლისთანავე მასწავლებელმა უნდა გაიაროს დეზობარიერი;

• კლასიდან კლასში გადაადგილებისას, მასწავლებელმა ხელები უნდა დაიმუშაოს სადეზინფექციო ხსნარით;

• მშობელთან კომუნიკაცია მასწავლებელმა უნდა წარმართოს დისტანციური სერვისების გამოყენებით;

• მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებით;

• მასწავლებელმა ინტენსიურად უნდა იმუშაოს მოსწავლეებთან მათი ცნობიერების ასამაღლებლად.

**ძალაში რჩება 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისში სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით:**

• სასწავლო პროცესის უსაფრთხოების ნორმებისა და რეკომენდაციების სრული დაცვით წარმართვის მიზნით, ტარდება სკოლების მონიტორინგი. 800-მდე სკოლაში მოწესრიგდა სველი წერტილები;

• სკოლების პედაგოგებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს უტარდებათ ტესტირება COVID-19-ზე;

• სამინისტროს ინიციატივით, სკოლებს მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება დაევალათ, რომლის ფარგლებშიც, მშობლები სისტემატურად მიიღებენ ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

❖ სკოლის სპეციალური აღჭურვილობებით, დეზობარიერებით, სადეზინფექციო საშუალებებითა და უკონტაქტო თერმომეტრებით უზრუნველყოფა;

❖ სკოლის მოვლა-პატრონობისა და დალაგება-დასუფთავების მიზნით გატარებული ღონისძიებები;

❖ სკოლაში სველი წერტილების მდგომარეობა;

❖ საკლასო ჯგუფების ცვლებში განაწილება, მიმდინარე საგაკვეთილო ცხრილი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის რესურსოთახით სარგებლობის განრიგი;

❖ სკოლის ეზოსა და შენობაში მოსწავლეთა ნაკადების შესვლის, გასვლისა და გადაადგილების ორგანიზება;

❖ თერმოსკრინინგის უზრუნველყოფა;

❖ სკოლის პერიმეტრზე პირბადის ტარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

❖ დისტანციური სწავლების ფორმა საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის;

❖ სკოლის პერსონალის COVID-19-ზე სავალდებულო ტესტირება;

❖ მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოყოფილი დრო და ფორმატი;

• მოსწავლეთა მშობლებს კვლავ ეძლევათ არჩევანის შესაძლებლობა, დასწრებით სწავლებასა და დისტანციურ სწავლებას შორის;

• საქართველოს ყველა საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის შესაძლებლობა დისტანციურ და დასწრებით სწავლებას შორის. აღნიშნული სერვისის მისაღებად, მშობელი ვალდებულია, მოსწავლე დაარეგისტრიროს ონლაინრეგისტრაციის გზით https://online.emis.ge -ზე;

• სამინისტრო შესაძლებლობას აძლევს რისკჯგუფში მყოფ მასწავლებლებს, მუშაობა დისტანციურ ფორმატში გააგრძელონ.

## საქართველოში პროფესიული განათლების შესაძლებლობების გასაძლიერებლად

მსოფლიო ბანკის პროექტის – „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ – ფარგლებში, რომელიც დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის კარგი მმართველობის ფონდის დაფინანსებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ხორციელდება, 2021 წლის 4 თებერვალს საქართველოს პროფესიული განათლების შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები დაიწყო.

მსოფლიო ბანკის უშუალო მხარდაჭერით დაგეგმილია პროფესიული განათლების ხარისხის გაძლიერების პროცესებში მონაწილე საქართველოს წამყვანი სამინისტროებისა და სახელმწიფო ინსტიტუციებისთვის იმ საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების გაძლიერებასა და დასაქმების ზრდას. შესაბამისად, დღეიდან დაიწყო შესაბამისი ინსტიტუციების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების ტრენინგმოდულები, რომლებსაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრენინგების საერთაშორისო ცენტრის (ITC ILO) ექსპერტები განახორციელებენ.

საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გაზიარების შედეგად, განისაზღვრება ის სამომავლო ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული უნარების მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის შემცირებას, პროფესიული უნარების პროგნოზირების სისტემის დახვეწას და პროფესიული უნარების განვითარებისთვის საჭირო სექტორული მიდგომების გაძლიერებას.

*„პროფესიულ უნარებზე, მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსი მრავალი ქვეყნის გამოწვევაა. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემისთვის შრომის ბაზრის მონაცემების მოძიება და დამუშავება გადამწყვეტია ეფექტიანი საგანმანათლებლო პოლიტიკის დანერგვისთვის. ისეთი უნარების განვითარება, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისია, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დასაქმებასა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას,“* – აღნიშნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ **თამარ ქიტიაშვილმა**.

აღნიშნული საერთაშორისო ექსპერტებისა და ტრენერების დახმარებით შესაძლებელი გახდება პროფესიული უნარების პროგნოზირების სისტემის შემუშავება, რაც ახალგაზრდებს, პოლიტიკის შემქმნელებს, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს გაუადვილებს მომავლის მოთხოვნადი უნარების შეძენისთვის საჭირო გადამზადების პროგრამების შერჩევას; აგრეთვე, ხელს შეუწყობს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისთვის საჭირო ახალი საგანმანათლებლო სერვისების განვითარებას.

## საქართველოსა და აშშ-ს შორის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში თანამშრომლობა გრძელდება

საქართველოსა და აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, ონლაინ რეჟიმში შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

**მიხეილ ჩხენკელი:** *„დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან ერთად ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროებში. აღნიშნული შეთანხმება ქმნის იდეების, ინფორმაციის, ტექნოლოგიების გაცვლისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ამ სფეროების განვითარებას და გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოების კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის საფუძველი გახდება.*

*ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, რომლის როლი უმნიშვნელოვანესია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის განვითარების კუთხით. მსურს, კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ამერიკის მთავრობას, ამერიკელ ხალხს და პირადად ელჩს, კელი დეგნანს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი უზარმაზარი წვლილისათვის.“*

**კელი დეგნანი:** *„შეერთებულ შტატებსა და საქართველოს აქვთ წარმატებული თანამშრომლობის გრძელი და წარმოსადეგი ისტორია მეცნიერებისა და განათლების სფეროში – ქართული უნივერსიტეტების მხარდასაჭერად სტუდენტებისა და მეცნიერების გაცვლითი პროგრამების მეშვეობით. დღეს ჩვენ ვდგამთ შემდგომ ნაბიჯებს ჩვენი მთავრობების სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის განმტკიცებისთვის.“*

ურთიერთშეთანხმება საქართველოსა და აშშ-ს შორის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, თანამშრომლობის 10-წლიანი პერიოდით გახანგრძლივებას ითვალისწინებს. მის მთავარ მიზანს მხარეთა სამეცნიერო და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება და ორივე ქვეყნის აკადემიურ წრეებს შორის ურთიერთობების გაფართოების ხელშეწყობა წარმოადგენს.

*საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა განათლების სფეროში მრავალი წელია გრძელდება. ამ ეტაპზე, ზოგადი განათლების მიმართულებით ხორციელდება USAID-ის 7 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი – Achieving Student-Centered Education for a New Tomorrow (ASCENT), რომელიც მოსწავლეებს კითხვის, მათემატიკის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარება. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, ფართოვდება Fulbright-ის პროგრამა და დაემატება „ინგლისური ენის სწავლების ასისტენტის“ (ETA) კომპონენტი, რომლის მიზანია რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერა.*

*აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) 140 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მეორე კომპაქტის მიერ, საქართველოს განათლების ყველა საფეხურზე, განხორციელებულმა უმსხვილესმა ინვესტიციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს მოქალაქეებზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებზე. კომპაქტის ფარგლებში, 2014-2019 წლებში, სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა და აღიჭურვა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით; სასწავლო გარემო გაუმჯობესდა 40 ათასამდე მოსწავლისთვის, 20 ათასზე მეტმა ადამიანმა გაიარა პროფესიული განვითარების გრძელვადიანი კურსი, შემუშავდა 51 ახალი პროფესიული განათლების პროგრამა.*

*ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის დაფინანსებით სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ფილიალი მაღალი ხარისხის ტექნოლოგიურ და საინჟინრო ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებს 2015 წლიდან ახორციელებს. საქართველოს მთავრობასა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის თანამშრომლობის შედეგად 2020 წელს, რეგიონში პირველად, თსუ-ს ორმა საბაკალავრო პროგრამამ მიიღო ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების საკრედიტაციო საბჭოს (ABET) აკრედიტაცია.*





# ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მთავარი ბერკეტი




ლალი თვალაბეიშვილი

„ახალი სკოლის მოდელის“ პროექტის მართვის გუნდმა საზოგადოებას 2020 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. ონლაინ რეჟიმში, ორდღიან ფორუმს 1000-ზე მეტი მოწვეული სტუმარი – სკოლის დირექტორები, პედაგოგები, რესურცენტრების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფორუმს უძღვებოდა განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსი **მარიამ ჩიქობავა**: *„ახალი სკოლის მოდელის“ შემაჯამებელი ღონისძიების მიზანია გასული წლის შედეგების შეჯამება, ერთგვარი ანგარიში, თუ რა გაკეთდა პროექტის ფარგლებში, რა პროცესებში ვიყავით სკოლებთან ერთად ჩართული, ამჟამად სად ვართ და როგორია ჩვენი სამომავლო გეგმები.*

*ყველა ბავშვს უნდა უხაროდეს სკოლაში მისვლა, ყველა მასწავლებელს უნდა უყვარდეს თავისი პროფესია, ეიმედებოდეს და კარგად გრძნობდეს თავს სასკოლო გარემოში. ვფიქრობ, ჩვენი უპირველესი ამოცანა სწორედ ეს არის, რომ მეტი მხარდაჭერა გამოვუცხადოთ სკოლებს, მეტად დავუდგეთ გვერდში. ნამდვილად ბევრი სათქმელი დაუგროვდათ ჩვენს პედაგოგებს მთელი ამ პროცესის განმავლობაში და იმედი მაქვს, საინტერესო პრეზენტაციებს მოვისმენთ. მნიშვნელოვანია ასევე მათი შეფასება, ანალიზი, რასაც, ცხადია, შემდგომში გავითვალისწინებთ.“*

პირველ დღეს გამომსვლელებმა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესზე ისაუბრეს, ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევებსა და პანდემიის პირობებში შექმნილ სირთულეებზე. განათლების სამინისტროს უმაღლესი და ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პარტნიორი, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების აუცილებლობაზეც იმსჯელეს და სამომავლო გეგმები განიხილეს.

მეორე დღე პანელურ სესიებს დაეთმო, სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით, სულ 42 სექცია მუშაობდა. 500-მდე პედაგოგმა წარმოადგინა გასული სემესტრის განმავლობაში კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალებები და მათი ანალიზი. კონფერენციის მონაწილეები პროექტში ჩართული საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების ნიმუშებსაც გაეცნენ. ლიდერობის მიმართულებით, პრიორიტეტული თემების ირგვლივ გაერთიანებული, შვიდი პარალელური სესია ჩატარდა. ფასილიტატორებად პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ მოწვეული.

განათლების მინისტრის მოადგილემ, **ეკატერინე დგებუაძემ**, მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ კონფერენციის დასრულების შემდეგ, აუცილებლად შეიკრიბება ის ჯგუფი, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში მუშაობს, მის განვითარებაზეა ორიენტირებული და იმსჯელებს იმაზე, როგორ აისახოს რეალურად ცვლილებები, რომელიც ფორუმზე განიხილეს. *„ამიტომ, ჩემი სურვილი იქნება, ისაუბროთ იმ გამოწვევებზე, რომელიც მუშაობის პროცესში დავინახეთ და რისი უკეთესობისკენ შეცვლაც არის მნიშვნელოვანი.“*

მინისტრის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა განათლების ხელმისაწვდომობასა და სკოლის კულტურის განვითარებაზე, როგორც მნიშვნელოვან კომპონენტზე, ასევე, სასწავლო პროცესში არაფორმალური განათლების კომპონენტის ინტეგრირების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ მიმდინარე ცვლილებების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, სკოლა უფრო მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლეზე და თითოეული მოსწავლე დანახული იყოს თავისი საჭიროებების, შესაძლებლობების მიხედვით.

ეკატერინე დგებუაძემ მადლობა გადაუხადა მასწავლებლებს: *„თითოეულმა თქვენგანმა შეძლო, რომ პროცესი, რომელიც ერთ დღეში შეიცვალა, პანდემიის ფონზე, განსხვავებულ ფორმატში წარმართულიყო, ეს წარმოუდგენელი იყო თქვენი აქტიურობის გარეშე. როლი, რომელიც თქვენ დისტანციურ სწავლებაში შეასრულეთ, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. იმედს ვიტოვებ, რომ ერთად მუშაობა, აქტიურობა, ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარება ერთმანეთში, მასწავლებლებში, საბოლოო ჯამში, კარგ შედეგს მოგვცემს.“*

სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, **ლალი კალანდაძემ** ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ესგ ძირითად მამოძრავებელ ძალად რჩება მთლიანად ზოგადი განათლების სისტემისთვის. ამიტომ, დეპარტამენტის როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსის დიდი ნაწილი მიმართულია სწორედ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაზე, რაც მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს და მეტ მოლოდინებს აჩენს რეფორმის მიმართ.

*„2020 წელი პროექტისთვის ბევრი დადებითი ცვლილების მომტანი აღმოჩნდა, მათ შორის, გამოიკვეთა რამდენიმე ახალი მიმართულება:*

✔ ***პირველი*** *– პანდემიის პერიოდში, ჩვენ დავინახეთ, შინაგანი მოტივაციის საფუძველზე, როგორ ახერხებს ხალხი მობილიზებას, ადამიანები ერთიანდებიან რაღაც საერთო მიზნის გარშემო, საერთო საქმის გასაკეთებლად და ამის არა ერთი მაგალითი გვაქვს. ტექნოლოგიების მიმართულებით, ქოუჩებმა, ფაქტობრივად, გაზაფხულიდანვე, მოხალისეობრივად დაიწყეს სკოლების მხარდაჭერა და შემდეგ, მთელი ზაფხულის განმავლობაში, ასევე მოხალისეობრივად, საგნობრივი ექსპერტები და ასისტენტები ახორციელებდნენ არაჩართული სკოლების დაინტერესებული მასწავლებლების კონსულტირებას.*

✔ ***მეორე*** *ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია პროფესიული ქსელების განვითარება. დისტანციურად მუშაობამ მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ უფრო ფართო მასშტაბზე გავსულიყავით, ერთმანეთისთვის გამოცდილება გაგვეზიარებინა. ქოუჩინგის პროცესში ჩართვა ნებისმიერ დაინტერესებულ პედაგოგს შეეძლო.*

*დავიწყეთ ასევე უნივერსიტეტებთან მუშაობა, რომ სწორედ უნივერსიტეტი იქცეს რეგიონში პროფესიული განვითარების ერთ-ერთ დასაყრდენ და მხარდამჭერ ცენტრად თითოეული მასწავლებლისთვის.*

✔ ***მესამე*** *– ამ პროცესებმა უფრო მეტი დეცენტრალიზაციის საშუალება მოგვცა. უამრავი რესურსი შეიქმნა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. მასწავლებლებმა დაიწყეს იუთუბ არხების შექმნა და გაზიარება. ბუნებრივია, ამ მიმართულებით ერთეულები აქამდეც ვითარდებოდნენ, მაგრამ პროცესი უფრო მასობრივი გახდა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პანდემიის შემდგომ, როდესაც მოსწავლეები სკოლებში დაბრუნდებიან, სწორედ ეს გამოცდილება მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ მასწავლებელმა, ინდივიდუალურად, კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, შექმნას სასწავლო რესურსი და მოსწავლეს მოარგოს.“*

**თამარ კეკელიძე** პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ მენეჯერია. მისი აზრით, სირთულეების მიუხედავად, პროექტის მართვის გუნდმა შეძლო, მორგებოდა რეალობას და ცვლილებები შეეტანა პროცესებში, მაგალითად, 2020-21 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაგეგმილი იყო პროექტის გაფართოება და ეს მართლაც მოახერხეს. აპრილ-სექტემბრის პერიოდში, კონკურსის საფუძველზე, ქვეყნის მასშტაბით, შეირჩა და დაკომპლექტდა, 24 მხარდამჭერი ჯგუფი, რომლებშიც შედიოდნენ ყველა საგნის ექსპერტები, ინკლუზიის და ლიდერობის ექსპერტები, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორები.

ქალბატონმა ლალიმ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე დაყრდნობით, სკოლების მიერ განხორციელებულ სასკოლო პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ლიდერობის ექსპერტებმა, ამ მხრივ, სკოლებთან ძალიან აქტიურად ითანამშრომლეს. პროექტის მენეჯერი კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებასაც შეეხო – შეფასების კომპონენტს. მართვის გუნდს შესაძლებლობა აქვს, პროცესებს დინამიკაში დააკვირდეს. პანდემიის პირობებში, ძალიან სწრაფ რეჟიმში მოუწიათ ადმინისტრირების ფორმების შეცვლა, მაგალითად, დაგეგმილი იყო მეცხრეკლასელების ტესტირება, ყველა საგნის მიმართულებით, თუმცა, ასეთ მოკლე ვადებში, შეფასების კომპონენტის ვირტუალურ რეჟიმში გადატანა რთული აღმოჩნდა, ამიტომ ტესტირება სამომავლოდ გადაიდო.

*„გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ ეტაპზე 600-ზე მეტ სკოლას აქვს სურვილი, ჩაერთოს პროექტში. ბუნებრივია, გვიხარია, რომ დიდია მოტივაცია და ინტერესი გამოიკვეთა პროექტისადმი. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ეს საკმაოდ დიდ შრომას მოითხოვს და რა თქმა უნდა, ჩვენი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს ყველას, ვისაც პროექტში ჩართვის სურვილი აქვს.“*

ესგ-ს დანერგვის პროცესი იყო **ნიკოლოზ სილაგაძის**, ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვისა და განვითარების ექსპერტის მიერ მომზადებული პრეზენტაციის თემა.




*„ჩემი პრეზენტაციის სათაურია – ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი (2020 წელი), ქვეშ კი წერია – „ახალი სკოლის მოდელი“. ასე იმიტომ წარმოვადგინე, რომ მინდა ერთგვარი დაბნეულობა გავფანტო, რომელიც ყოველთვის ახლავს ხოლმე, როგორც წესი, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მსგავს კომპლექსურ პროცესებს. მინდა, ამ ორი ტერმინის იდენტურობას გავუსვა ხაზი, „ახალი სკოლის მოდელი“ სხვა არაფერია, თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. ხშირად ჩნდება კითხვა, თუ ასეა, რატომ ჰქვია მას სხვა სახელი, ძალიან მარტივი ახსნა აქვს ამ ყველაფერს – „ახალი სკოლის მოდელი“, თავისი 24 მხარდამჭერი ჯგუფით, თავისი ქოუჩინგის რეჟიმით საგნის მასწავლებლებთან, არის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მთავარი ბერკეტი, რომელიც საქართველოს ყველა სკოლისთვისაა ხელმისაწვდომი. ზოგიერთი სკოლა ჩართულია, ზოგიერთი – პასიურ რეჟიმშია, ზოგიერთიც მომავალში ჩაერთვება, 2023 წლამდე დანერგვის ეს პროცესი სრულად დაფარავს საქართველოს. გარდა ამ ბერკეტისა, სისტემაში სხვა ბერკეტებიც არსებობს, მაგალითად, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ცენტრალიზებული ტრენინგები, გვყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაზე მუშაობენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს კომპონენტი ურთიერთკავშირშია, შინაარსობრივად ერთ კონცეპტუალურ საფუძველს ეყრდნობა, ყველა მათგანს მაინც ავტონომიურობა აქვს, სათაურის დონეზეც. ამდენად, „ახალი სკოლის მოდელზე“ როცა ვლაპარაკობთ, იმავდროულად, ვლაპარაკობთ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესზე. ეს არის მთავარი იარაღი, რითაც ეს რთული პროცესი ხორციელდება.“*

**ნენსი პარქსმა**, USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ხელმძღვანელმა კონფერენციის მონაწილეებს პროგრამის ძირითადი მიზნები გააცნო:

*„ჩვენი პროგრამა სამი ძირითადი მიზნის/ამოცანის განხორციელებაზეა ორიენტირებული: 1. მოქმედი მასწავლებლები და დირექტორები წარმართავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს; 2. მომავალი მასწავლებლები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების უნარ-ჩვევებს იძენენ, ხოლო მომავალი დირექტორები – საგანმანათლებლო ლიდერების უნარებს; 3. საგანმანათლებლო პოლიტიკა შემუშავებულია მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით.*

*ამ ეტაპზე, ძირითადად, კონცენტრირებული ვართ პირველ ამოცანაზე – მოქმედი მასწავლებლებისა და დირექტორების დატრენინგება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შემუშავების მიმართულებით. გასული წლის განმავლობაში, ჩვენ მიერ შერჩეული 5313 მასწავლებელი ჩაერთო ტრენინგში, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის სკოლების 1329 მასწავლებელი.“*

ნენსი პარქსმა აღნიშნა, რომ ისეთი მსხვილი პროგრამის განხორციელება, როგორიც „ახალი სკოლის მოდელია“, გარკვეულ გამოწვევებთანაა დაკავშირებული, მაგალითად, ტრენინგების მიმწოდებელმა პროვაიდერებმა შენიშნეს, რომ მასწავლებლებს, შესაძლოა, სჭირდებოდეთ დამატებითი ინსტრუქცია კონსტრუქტივისტული მიდგომების მიმართულებით. არ იქნებოდა ურიგო, რომ პედაგოგებმა, რომლებიც კონცენტრირებული არიან კომპლექსურ დავალებებზე და ეს მათთვის შედარებით ახალია, კიდევ ერთხელ, კარგად გააცნობიერონ, რამხელა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესის წინარე ცოდნაზე დაფუძნებას.

*„ჩემი პირადი რეკომენდაცია იქნება, რომ ეს ყველაფერი იყოს რაც შეიძლება მარტივი. ადამიანები მცირე ნაბიჯებით ცვლიან ქცევას, გარემოს და თუ თქვენ სთხოვთ, რომ რადიკალური ცვლილებები ერთბაშად განახორციელონ, დიდი მოლოდინი არ უნდა გქონდეთ. თუ მასწავლებლები გადაიტვირთნენ და გადაიღალნენ, შეიძლება უბრალოდ გაერიდონ ამ პროცესს, ცვლილებებს.“*

მარიამ ჩიქობავამ მადლობა გადაუხადა ნენსი პარქსს თანამშრომლობისთვის: *„USAID-ის პროექტი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ საქართველოს ყველა სკოლას ფარავს და ეს მასშტაბი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ სკოლებს ეტაპობრივად ვფარავთ, თქვენ კი ყველა სკოლაში შეხვედით და, ამ მხრივ, ძალიან გვეიმედებით დაწყებით საფეხურზე, რადგან იმ სკოლებში, სადაც ჯერ არ ვართ შესული, ნიადაგი შემზადებული დაგვხვდება. გეთანხმებით, რომ აჩქარება საჭირო არ არის, თუმცა, ცხადია, არ უნდა გავჩერდეთ და პერმანენტულად წინ უნდა ვიაროთ.“*

„ახალი სკოლის მოდელი“ რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას აერთიანებს – ლიდერობა, ინკლუზიური განათლება, ტექნოლოგიების კომპონენტი, მონიტორინგი და კვლევები. **ცაცია გაგნიძემ,** ლიდერობის კომპონენტის მიმართულების ხელმძღვანელმა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ლიდერობის მიმართულებით წარმოადგინა პრეზენტაცია – „საგანმანათლებლო ლიდერობის განვითარება“.

## ახალი სკოლის მოდელი

*„გასული სემესტრის დასაწყისში, 24 რეგიონულ ცენტრში, 17 მიმართულებით, გაიშალა მხარდამჭერი გუნდი. ერთ-ერთი მათგანი იყო ლიდერობის ექსპერტთა გუნდი, რომელმაც საკმაოდ გრძელვადიანი ტრენინგები გაიარა. ამის შემდეგ, პარალელურ რეჟიმში, დავიწყეთ რესურსების შექმნა, ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემებზე. სკოლებს შევთავაზეთ სხვადასხვა სასკოლო პროექტების განხორციელება, ესგ-ს პრიორიტეტულ თემებზე, ბუნებრივია, მათივე საჭიროებიდან გამომდინარე. ჩვენი რესურსები ერთ სივრცეში მოვაქციეთ, რაც შემდეგ დაეხმარა სკოლებს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში.*

*ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ინდივიდუალური შეხვედრები კონკრეტული სკოლის კონკრეტულ სასკოლო პროექტთან მიმართებით, ასევე, პარალელურ რეჟიმში, ერთი რეგიონული ცენტრის ქვეშ ჩაიშალა თემატურად გაერთიანებული შეხვედრები. მუშაობა მიდიოდა როგორც პროგრამაში ჩართულ სკოლებთან, ასევე იმ სკოლებთან, რომლებმაც თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.“*

ქალბატონმა ციციამ სკოლებისთვის, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის სარეკომენდაციო ჩარჩოს ფარგლებში, შეთავაზებულ პროექტებზეც ისაუბრა, რაც იმ სკოლების ხელშეწყობას გულისხმობს, რომლებსაც თავიანთი გამოცდილების საერთაშორისო ასპარეზზე გაზიარების სურვილი აქვთ. *„ჩვენს სამსახურთან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ, უკუკავშირით, რეკომენდაციებით, გავიარეთ პროექტები, რადგან ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ საქართველოდან უფრო და უფრო მეტი სკოლა იყოს საერთაშორისო ასპარეზზე წარმოდგენილი, რაც გულისხმობს პროექტების ევროსაბჭოს ვებგვერდზე განთავსებას, გამოცდილების გაზიარებას და აღნიშნული ჩარჩოს ფარგლებში, ქსელში ჩართვას. 100-მდე პროექტი უკვე თარგმნის პროცესშია და თანდათან დაიგზავნება, წარმატებები მინდა ვუსურვო სკოლებს.“*

**ლია ქურციკიძემ**, ახალი სკოლის მოდელის ინკლუზიური განათლების ექსპერტმა ინკლუზიური განათლების კომპონენტზე ისაუბრა და „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, წინა სემესტრში დაგროვილი გამოცდილება შეაჯამა – რა აქტივობები განხორციელდა, რა შედეგებს მიაღწიეს, რა გამოწვევების წინაშე დგანან და როგორ ხედავენ ამ გამოწვევებთან გამკლავების შესაძლო გზებს.

*„ახალი სკოლის მოდელის“ პროექტი და ესგ, თავისი დიზაინით, ბუნებით და კონცეპტუალური ჩარჩოთი იზიარებს, ფაქტობრივად, ინკლუზიური განათლების პრინციპებს და ეს ჩვენთვის ძალიან პოზიტიური მოლოდინის შემქმნელია, რადგან ვფიქრობთ, რომ სსსმ მოსწავლეების ჩართულობის ხარისხი ამაღლდება და მათი სწავლის პროცესი უფრო დადებითი შედეგების მომტანი იქნება.“*

მისი აზრით მნიშვნელოვანია, იმ თემებსა და საკითხებს, რასაც მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, ფუნქციური კონტექსტი ჰქონდეს, მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან იყოს კავშირში, განსაკუთრებით სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში. *„ის, რასაც ჩვენ მათ ვასწავლით, არ უნდა იყოს განყენებული, მათთვის რელევანტური და საინტერესო უნდა იყოს, რომ თავიანთი ცოდნისა და უნარების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება მოახერხონ.“*

ძირითად გამოწვევებს შორის, პირველ რიგში, დისტანციური სწავლება დასახელდა, რადგან ეს განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა სსსმ მოსწავლეებისთვის, მათი განსხვავებული უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ ბევრი სსსმ მოსწავლე ამ პროცესში სრულყოფილად ვერ ჩაერთო. *„ჩვენი მთავარი გეგმა მომდევნო სემესტრში არის ის, რომ მაქსიმალურად ვეცადოთ, მოვიცვათ სხვადასხვა საჭიროებების მრავალფეროვნება და ვიცოდეთ ზუსტი და მკაფიო სტრატეგიები, როგორ გავითვალისწინოთ, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას ან კურიკულუმისა და ადაპტირებული ვერსიების შექმნის დროს, ნებისმიერი საჭიროების მქონე მოსწავლე.“*

შემდეგი იყო ტექნოლოგიების მიმართულება – **სანდრო ასათიანის**, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპერტის პრეზენტაცია „ახალი სკოლის მოდელი – ტექნოლოგიური კომპონენტი“. საინტერესო იყო ინფორმაცია, პროექტის ფარგლებში შექმნილი საგანმანათლებლო რესურსების შესახებ, რომლებიც „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შევიდა სკოლაში. *„ეს რესურსები უფასოა და არაჩართული სკოლებისთვისაც ხელმისაწვდომია:*

⇨ ***ვსწავლობთ თამაშით*** *– გარემო, რომელსაც ბავშვი, ფაქტობრივად, თვითონ ქმნის. აქ მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია, რადგან მის გარეშე რესურსი აზრს კარგავს, მასწავლებელი უსახავს დავალებას (როგორც წესი, ეს კომპლექსური დავალებებია) და შემდეგ მოსწავლე დავალების შესაბამისად მუშაობს.*

⇨ *დაწყებითი კლასებისთვის* ***ინტერაქტიური ანბანი****, რომელიც ბავშვებს საანბანო პერიოდში ეხმარება. ამ პროგრამის ვერსია ჩატვირთულია ყველა ბუქში, ასევე შეიძლება გადმოწერა და რესურსის გამოყენება, მობილური ტელეფონების შემთხვევაშიც;*

⇨ ***სიტყვობანა*** *– სიტყვებთან მუშაობა, ბავშვმა ასოებისგან სიტყვები უნდა ააწყოს. ცოტა ხნის წინ შეიქმნა* ***მარცვლობანა*** *და ამგვარად, საანბანო პერიოდი სრულად დაიფარა;*

⇨ *ახალი საგანმანათლებლო რესურსი –* ***კომპლექსური დავალებების ბანკი*** *4 საგანს აერთიანებს – ბუნებისმეტყველება, მუსიკა, ხელოვნება, კომპიუტერული ტექნოლოგიები. ყველაზე მეტი რესურსი კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებითაა. ამ რესურსს მოყვება ჩეთბოტი და მოსწავლეებს შეუძლიათ, პროგრამას კითხვები დაუსვან და მიიღონ პასუხები, ინტერაქტიურ რეჟიმში.“*

**ია აფთარაშვილმა**, მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელმა, ყურადღება გაამახვილა მონიტორინგისა და კვლევის მნიშვნელობაზე, მსგავსი მასშტაბური პროექტის განხორციელებისას. ჯგუფი ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული სკოლების შეფასება და მონიტორინგი. სასკოლო შეფასება მოიცავს როგორც სასკოლო კულტურის კვლევას, ასევე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებას, მათი წინსვლისა და საჭიროებების გაზომვას.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება, ფაქტობრივად, სადიაგნოსტიკო წერებზეა დაფუძნებული, რაც შედარებით ახალი გამოწვევაა ყველასთვის, მკაცრად ორიენტირებულია ზოგადი განათლების საფეხურის სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე და დიაგნოსტიკურია, იმის ნახვის და გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა, თუ რა ტიპის გამოწვევებია, რა პრობლემებია, რა გამოსდის კარგად მოსწავლეს და რა არა. შეფასება საფეხურებრივია, ყოველი საფეხურის ბოლოს – IV, VI და IX კლასების ბოლოს – ხორციელდება. სექტემბრისთვის დაგეგმილი შეფასება გადავადდა, ამის მიზეზი ახალი რეალობა იყო, ვირტუალურ სივრცეზე გადაწყობა მარტივად ვერ მოხერხდა.

სკოლების შეფასების შემდეგ მზადდება სკოლების პროფილი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც აკადემიური მიღწევები, ასევე სასკოლო კულტურის ანალიზი, სადაც საკვანძო მიგნებებია. სკოლის პროფილი მნიშვნელოვანია სკოლებისთვის – სკოლის ლიდერს, გუნდს შესაძლებლობა ეძლევა, რეალურად იკვლიოს საჭიროებები, გააანალიზოს და უკეთესი განვითარების შესაძლებლობები ეძებოს. დღეს, როდესაც დღის წესრიგში, ნელ-ნელა, დგება სკოლების ავტორიზაციის საკითხი, სკოლის პროფილი ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია, რომ სკოლები მზად იყვნენ და უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდეთ ხარისხის მართვის სისტემა.

პირველი დღის ბოლო პრეზენტაცია იყო – „სკოლის მიღმა დარჩენილი ყველაზე მოწყვლადი ბავშვებისა და მოზარდების ჩართვა საქართველოს განათლების სისტემაში, ხარისხიანი განათლების მიღებისთვის“ – **მარიანა ქუნძაყიშვილი**, გაეროს ბავშვთა ფონდის პროგრამის „განათლების მეორე შესაძლებლობა“ ხელმძღვანელი:

*„საქართველოში რამდენიმე ათასი, 6-დან 16 წლამდე ასაკის, ბავშვი გვყავს, რომელიც ამ ეტაპისთვის, არ არის ჩართული საგანმანათლებლო სისტემაში. გარდა ამ ასაკობრივი ჯგუფისა, გვყავს ახალგაზრდები 18 წლამდე და ზევით, რომლებსაც ასევე არ გააჩნიათ საგანმანათლებლო ისტორია, არასოდეს უვლიათ სკოლაში ან მათაც, გარკვეული მიზეზების გამო, სკოლა ვადაზე ადრე მიატოვეს და განათლების რომელიმე საფეხურის დასრულების გარეშე დარჩნენ. დამეთანხმებით, რომ ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი სახელმწიფოსთვის.*

*2020 წლის განმავლობაში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის გზით, ამ მოზარდებისა და ახალგაზრდების იდენტიფიცირება და მოძიება დაიწყო. რამდენიმე ასეული ბავშვი უკვე იდენტიფიცირებულია და, თებერვალ-მარტის პერიოდიდან, განათლების სოციალური მუშაკები მათთან მუშაობას დაიწყებენ, რომ ჩართონ განათლების სისტემაში. რა თქმა უნდა, რამდენიმე ასეული ბავშვის მოცვა არ არის საკმარისი და სახელმწიფო აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას, რომ ყველა მოზარდი და ახალგაზრდა დაუბრუნდეს განათლების სისტემას.“*

მნიშვნელოვანია, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, კონკრეტულად ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, სწორედ სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, ესგ-ზე დაფუძნებული დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმი შემუშავდა. 2020-21 წლის განმავლობაში, კურიკულუმი პილოტირებას გაივლის პარტნიორ სკოლებსა და საქართველოს მასშტაბით არსებულ მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრებში, 24-საათიან კრიზისულ თავშესაფრებში. პროგრამის ხანგრძლივობა პილოტირების დასრულდების შემდეგ დაზუსტდება, სავარაუდოდ, პირველი დონის მინიმალური ხანგრძლივობა 2 თვე იქნება, მაქსიმალური – 4 თვე; მეორე დონის მინიმალური ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური – 8 თვე (8 თვიდან ერთი წლის ფარგლებში).

მარიამ ჩიქობავამ მადლობა გადაუხადა გაეროს ბავშვთა ფონდს მხარდაჭერისთვის და კონფერენციის პირველი დღე პოზიტიური ინფორმაციით დაასრულა: *„სასიამოვნოდ გაოცებულები ვართ, რომ საზღვარგარეთ არსებულმა სკოლებმა, უფრო მეტად საკვირაო სკოლებმა, ძალიან დიდი დაინტერესება გამოთქვეს „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტით. 22 ქვეყნის წარმომადგენლობა დაგვიკავშირდა და პედაგოგებთან რამდენიმე ონლაინ შეხვედრა გაიმართა, აინტერესებდათ კომპლექსური დავალებები, ცხადია, აინტერესებდათ ჩვენი გამოცდილებაც. მათთან თანამშრომლობა ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება. უდიდესია მათი ინტერესი, განსაკუთრებით „ჩვენი საქართველოს“ მიმართ, მოგეხსენებათ, ეს საგანი საქართველოს მხარეებს შეასწავლის და, ცხადია, საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი ახალგაზრდებისთვის, ბავშვებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა.“*

ორდღიანმა ფორუმმა კიდევ უფრო დააახლოვა, გააერთიანა და წარმატებაზე ორიენტირებული გახადა „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული ადამიანები. *„ეს პროექტი ჩვენთვის მხოლოდ სამსახური არ არის, ეს არის იდეა, რომლის გარშემოც ჩვენ ყველანი, ვისაც გვჯერა, ვერთიანდებით. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენს თანამოაზრეებთან ერთად, ძალიან დიდ წარმატებას მივაღწევთ“ (ლალი კალანდაძე).*

Info
www.akhaliganatleba.ge

# 202-ე საჯარო სკოლას განმავითარებელი რესურსები გადაეცა




საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და პოლონეთის „განათლების განვითარების ცენტრმა“, ერთობლივი პროექტის – „მეგობრული სკოლის“ ფარგლებში, ქალაქ თბილისის №202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლას განმავითარებელი რესურსები გადასცეს.

განმავითარებელი და შემოქმედებითი რესურსები სხვადასხვა საგანმანათლებლო საშუალებას მოიცავს, რომელთა სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენება მოსწავლეებში აკადემიური და კოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

ორწლიანი პროექტის – „მეგობრული სკოლის“ განხორციელება, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, 2019 წელს დაიწყო და მის მთავარ მიზანს საქართველოში ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

პროექტის პირველ ეტაპზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს სპეციალური ტრენინგები პოლონეთში, კერძოდ, კრაკოვსა და ვარშავაში, ჩაუტარდათ. ტრენინგები მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების, კერძოდ, დისლექსიის, აუტიზმის სპექტრის, მხედველობის დარღვევისა და ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვების განვითარების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

პოლონეთში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს წარმომადგენლებმა ინკლუზიური განათლების თემატიკაზე ვორკშოფებშიც მიიღეს მონაწილეობა და ადგილობრივი განათლების სამინისტრო და საგანმანათლებლო დაწესებულებები მოინახულეს.

გარდა ამისა, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, პოლონელი ექსპერტების მიერ შემუშავდა თერაპიული მუშაობის ნიმუშები და ჩაიწერა შესაბამისი ვიდეოგაკვეთილები. ამასთან, მასწავლებლების და მშობლებისათვის შეიქმნა სახელმძღვანელო, რომელიც მოსწავლეებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მინიჭებისა და სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიმართულებით სხვადასხვა რეკომენდაციას აერთიანებს.






კომპლექსური დავალება

# სწავლების ახალი მიდგომები ისტორიაში



**ეკა კობიაშვილი**
*ისტორიის დოქტორი, სსიპ თელავის №6 საჯარო სკოლის ისტორია-სამოქალაქო განათლების მასწავლებელი*

21-ე საუკუნემ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სკოლა – მასწავლებელიც და მოსწავლეც. რეფორმები ტარდება განათლების სისტემაში, გაანალიზების შედეგად, დროდადრო, იცვლება მიდგომები.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს აკადემიური და სოციალური უნარები განუვითარდეთ, მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს ინტერაქტიული სასწავლო პროცესი: კომპლექსური დავალებები, კეთებით სწავლა, პრობლემაზე და კვლევაზე ორიენტირებული სწავლა, ისტ ტექნოლოგიების ინტეგრირებით სასწავლო პროცესი უფრო მამოტივირებელი ხდება მოსწავლეთათვის.

რა არის კომპლექსური დავალების მიზანი? რატომ არის მნიშვნელოვანი კომპლექსური დავალება?

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს: მოსწავლე აქტიურია, ჩართულია ძიებაში, შემოქმედებით პროცესში, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენს ახალი ცოდნის კონსტრუირებას; კომპლექსურ დავალებას ცხოვრებისეულ, ყოფით გამოცდილებას უკავშირებს; დიდი ყურადღება ექცევა სწავლის სწავლას; აქტიურია ინტერაქცია მოსწავლე-მასწავლებელს შორის და მოსწავლე ახდენს ცოდნის გამთლიანებას.

## კომპლექსური დავალება

**მასწავლებელი** – ეკა კობიაშვილი
**საგანი** – ისტორია
**კლასი** – VIII, **საფეხური** – საბაზო
**თემა: ადრინდელი და განვითარებული შუა საუკუნეები**
**საკითხი:** ჯვაროსნები; რაინდული ორდენები
**ცნება:** წყარო/ინტერპრეტაცია **(შედეგები: 1, 2, 5, 6)**

***საკვანძო კითხვები: რამდენად სანდოა ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაცია ჯვაროსნულ ლაშქრობებთან დაკავშირებით? რას მოგვითხრობს ისტორიული წყაროები ჯვაროსნებზე?***

*კომპლექსური დავალების პირობა:*

წარმოიდგინე, რომ ხარ შუა საუკუნეების მკვლევარი, გსურს შექმნა სახელმძღვანელო ჯვაროსნების შესახებ, რომლის ერთ-ერთი ნაწილის სათაური იქნება „ისტორიული წყაროები ჯვაროსნებზე“. შეისწავლე ისტორიული წყაროები (თქვენი სახელმძღვანელოდან –ისტორია-8, ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ფირცხალავა, გამომცემლობა „დიოგენე“ ან ინტერნეტის საშუალებით მოძიებული) ჯვაროსნების შესახებ და პროგრამა ISSUU-ში (ან სხვა პროგრამაში, სურვილის შემთხვევაში) შექმენი ელექტრონული წიგნი და წარუდგინე კლასს.

**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**

⇨ რა ტიპის წყაროებიდან გაქვს ინფორმაცია ჯვაროსნების შესახებ?
⇨ დაახასიათე ჯვაროსნები აღმოსავლური და დასავლური წყაროების მიხედვით.
⇨ რაში ეთანხმებიან ან ეწინააღმდეგებიან მათი ავტორები ერთმანეთს?
⇨ რატომ აფასებენ წყაროები ერთსა და იმავე ფაქტს განსხვავებულად?
⇨ რამდენად სანდოა მოცემული წყაროები ჯვაროსნების შესახებ?

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):**

**ეტაპი 1**

1. კომპლექსური დავალების გაცნობა
2. ვიდეოინსტუქცია, როგორ შევქმნათ ელექტრონული წიგნი პროგრამა ISUU-ში
https://www.youtube.com/watch?v=rc3dcY21p8Q&feature=youtu.be

**ეტაპი 2.**

**საკვანძო შეკითხვები:** *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*
**თანამედროვეთა თვალით დანახული ჯვაროსნები:** სხვადასხვა წყაროს გაცნობა
**რესურსი:** სახელმძღვანელო – ნ. ახმეტელი, ნ. ფირცხალავა, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ.108-111.
წყარო: ანა კომნენოსი, ბიზანტიელი მემატიანე, „ალექსიადა“, XIIს;
წყარო: რაიმუნდ აჟილელი, ფრანგი მემატიანე, „ისტორია ფრანკების, რომლებმაც იერუსალიმი აიღეს“, XIს;
წყარო: იტალიურ-ნორმადიული ქრონიკა, XIს;
წყარო: იბნ-ალ-ასირი, მუსლიმი მემატიანე, „მსოფლიო ისტორიის კრებული“, XIს;
წყარო: იბნ ალ-კალანისი, არაბი ისტორიკოსი, „დამასკოს ისტორია“, XIIს;
წყარო: უსამა იბნ მუნქიზი, არაბი მემატიანე, მხედართმთავარი, ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე, „შეგონებათა წიგნი“, XIIს.

დავალება:

**1. გააანალიზე წყაროები და შეავსე ისტორიულ წერილობითი წყაროს სამუშაო ფურცელი (მოსწავლის რვეული, დანართი 1).**
**2. როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა, ვენდოთ მიკერძოებულ წყაროებს? წყაროს განხილვის შემდეგ, შეეცადე გადმოსცე იგივე ამბავი მიუკერძოებლად.**
**3. მოიძიე ილუსტრაციები ინტერნეტიდან, ასევე სახელმძღვანელოდან (ილუსტრირებული წყაროები, გვ.110) , დაალაგე ისინი ქრონოლოგიურად, ასევე, ეს ილუსტრაციები გამოიყენე ელექტონული წიგნისთვის.**
**4. წყაროს (ანა კომნენოსი, ბიზანტიელი მემატიანე, „ალექსიადა“, XII ს) მიხედვით იმსჯელე დასავლურ და ბიზანტიურ საზოგადოებაზე (საზოგადოება).**
**5. დაახასიათე ჯვაროსნები აღმოსავლური და დასავლური წყაროების მიხედვით.**
**6. რამდენად სანდოა ეს წყაროები?**
**7. გაეცანი რაინდული ორდენების შესახებ ინფორმაციას (გვ.111), ინტერნეტით მოიძიე მათ შესახებ დამატებითი ინფორმაცია. რა კავშირში არიან ისინი ჯვაროსნულ ლაშქრობებთან?**

**ეტაპი 3.** პრეზენტაცია

⇨ აღწერე რა ტიპის წყაროებიდან გაქვს ინფორმაცია ჯვაროსნების შესახებ.
⇨ დაახასიათე ჯვაროსნები აღმოსავლური და დასავლური წყაროების მიხედვით.
⇨ შეაფასე, რაში ეთანხმებიან ან ეწინააღმდეგებიან მათი ავტორები ერთმანეთს?
⇨ რატომ აფასებენ წყაროები ერთსა და იმავე ფაქტს განსხვავებულად?
⇨ რამდენად სანდოა მოცემული წყაროები ჯვაროსნების შესახებ?
⇨ რა სტრატეგიები გამოიყენე დავალების შესასრულებლად?

***შედეგი:***

***მოსწავლე ქმნის პროდუქტს*** – ელექტრონულ წიგნს პროგრამა ISUU-ში (ხდება ისტ-ტექნოლოგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში). აანალიზებს სხვადასხვა ტიპის წყაროებს, აფასებს, ეთანხმებიან თუ ეწინააღმდეგებიან წყაროს ავტორები ერთმანეთს, მსჯელობს სანდოობაზე. საუბრობს, რა სტრატეგიებს იყენებს დავალებაზე მუშაობისას.

**რესურსები:**

https://www.youtube.com/watch?v=rc3dcY21p8Q&feature=youtu.be
**სახელმძღვანელო:** ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ფირცხალავა, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ.108-111.
**https://akhaliganatleba.ge/http-akhaliganatleba-ge-wp-admin-post-phppost5920actioneditclassic-editor/ – კომპლექსური დავალება – მნიშვნელოვანი სიტყვა განათლების რეფორმაში, „ახალი განათლება“, 20 მაისი, 2020.**

# MAKEDONIYALI İSGƏNDƏRIN DÖYÜŞLƏRI



**ნაირა მუსაევა**
*გარდაბნის მუნიციპალიტეტის კალინინოს საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი*

**NAIRƏ MUSAYEVA**
***Qardabanı rayonu Kalinino kənd məktəbnin tarix müəllimәsi***







## DƏRSIN PLANI

**Müəllimin adı, soyadı, şəxsi nömrəsi:** Nairə Musayeva
**Fənn:** Tarix **Sinif:** X
**Şagirdlərin sayı:** 8, xüsusi təlimə ehtiyacı olan şagird: 0
**Dərin mövzusu:** Makedoniyali İsgəndərin döyüşləri
**Dərsin məqsədi:** Şagirdlərə Makedinoyalı İsgəndərin həyatı və döyüşləri haqqında məlumat vermək.Qrup işi zamanı şagirdlərdə əməkdaşlıq etmək bacarığı inkişaf etdirmək.Video nümayişi zamanı şagirdlərdə vizual gördüklərini analiz edib,təhlil etmək bacarığını inkişaf etdirmək.

| № | Aktivliklər | metod | Sinifin təşkil | resurslar | vaxt |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **Sinifin təşkilindən sonra şagirdlərə yeni dərsin mövzusunu məqsədini və qiymət rubrikasını təqdim edir.** | Şifahi | Bütün sinif | Dərsin məqsədi qiymət rubrikası | 3dəq |
| 2 | **Keçmiş dərsin aktivləşməsi üçün şagirdlərlə sual cavab aparmaq. Keçmiş movzu „Makedoniyalı İsgəndərin həyatı“ idiş.** | Sual-cavab | Bütün sinif | Dərsin materialı | 10dəq |
| 3 | **Sonra müəllim şagirdləri 2 qrupa bölür.Qrup üzrə işləməyi qaydasını izah edir,təqdim edəcəyi video haqqında qısa məlumat verir.Şagirdlər video təqdimat zamanı gördükləri döyüşlərin yerini və vaxtını izləyib təqdim etməlidirlər.Şagirdər video çarxı izlədikdən sonra prezentasiya edirlər.Bu aktivliyi aparmaqda məqsəd şagirdlərdə əməkdaşlıq etmək və vizual gördüklərini analiz edib təhlil etmək bacarığını inkişaf etdirməkdir.** | Video təqdimat | Qrup üzrə iş | Video carx | 16-18 dəq |
| 4 | **Müəllim yeni dərsi daha ətraflı və dəqiq başa salır.** | Verbal təqdimat | Bütün sinif | Yeni movzu | 5dəq |
| 5 | **Yeni mövzunu möhkəmləşdirmək üçün müəllim sual cavab edir.** | Sual-cavab | Bütün sinif | Yeni movzu | 8dəq |
| 6 | **Evə tapşırıq olaraq yeni movzu „Makedoniyalı İ. Döyüşləri“ və hər şagirdə fərdi tapşırıq internetdən məlumat toplayıb gətirsinlər.** | Verbal təqdimat | Bütün sinif | | 2dəq |
| 7 | **Müəllim şagirdləri dərsin əvvəlində təqdim etdiyi rubrika əsasında qiymətləndirmə.** | Şifahi | Bütün sinif | Qiymət rubrikası | 2dəq |

Qiymət rubrikası

| Kriterilər | Qiymət(bal) |
|---|---|
| 1.Şagird keçmiş mövzunun sual cavabında iştirak edir | 0-1-2 |
| 2.Şagird qrup işi zamanı əməkdaşlıq edir | 0-1-2 |
| 3.Şagird vizual gördüyünü analiz edə bilir | 0-1-2 |
| 4.Şagird vizual gördüyünü analiz edə bilir | 0-1-2 |
| 5.Şagird dərsə cəlb olunub | 0-1-2 |

ახალი საგანი

# მნიშვნელოვანია, ქვეყნის მთავარი სიმდიდრე მცოდნე ადამიანები გახდნენ

ლალი ჯელაძე

*2020-21 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, „ახალი სკოლის მოდელში" ჩართულ 400 ქართულენოვანი სკოლის II-III-IV კლასებში, ახალი საგნის – „კომპიუტერული ტექნოლოგიების" პილოტირება დაიწყო. რა პრინციპებს ეფუძნება სკოლებში „კომპიუტერული ტექნოლოგიების" სწავლება და როგორ წარიმართება დანერგვის ეტაპები – დეტალებზე გვესაუბრება განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპერტი ალექსანდრე ასათიანი.*

**– ბატონო ალექსანდრე, მიმდინარე სემესტრში, შერჩეულ სკოლებში, დაწყებით საფეხურზე ახალი საგანი – კომპიუტერული ტექნოლოგიები შევიდა. ხომ არ განაპირობა საგნის განახლებული სახელწოდებით სწავლება პანდემიით შექმნილმა მდგომარეობამ?**

– დიდი ხანია, რაც ამ საგანზე დაიწყო საუბარი. ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვითარდება და ასეთი ტერმინიც გაჩნდა: კომპიუტერული წიგნიერება. თუკი ადრე, იმისთვის, რომ ადამიანს სამსახური დაეწყო, პროფესიული უნარების ცოდნის გარდა, მოეთხოვებოდა წიგნიერება (თავისთავად, ეს ძალიან მნიშვნელოვანია), დღეს, პროფესიულ უნარებთან ერთად, უნდა ფლობდეს კომპიუტერულ უნარებსაც, რადგან სულ უფრო და უფრო ცოტა პროფესია რჩება, სადაც კომპიუტერის ცოდნის გარეშე შესაძლებელია, დასაქმდეს ადამიანი. აქედან გამომდინარე, როგორც გითხარით, ამ საგნის სკოლებში დანერგვაზე კარგა ხანია მიდის საუბარი, უბრალოდ, პროცესი პანდემიამ დააჩქარა, ძალიან ბევრი სკოლა, ქვეყნის მასშტაბით, გარკვეული პერიოდი, მთლიანად დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. გაჩნდა კითხვები: თუკი კომპიუტერულ ტექნლოგიებთან დაკავშირებული საგანი – ისტ – მეხუთე-მეექვსე კლასებში ისწავლება, რატომ არ შეიძლება ვასწავლოთ მეორე, მესამე და მეოთხეკლასელებს და გამოვუმუშაოთ მათ დისტანციურ გაკვეთილთან დაკავშირებული უნარები. ამიტომაც გადაწყდა, რომ შემოვიტანოთ ახალი საგანი – კომპიუტერული ტექნოლოგიები დაწყებით საფეხურზე. ფაქტობრივად, ეს იგივე საგანია, რაც ისტი (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომელიც აქამდე ისწავლებოდა მეხუთე-მეექვსე კლასებში), მხოლოდ სახელი შევუცვალეთ, რადგან მშობლებისთვის ცოტა რთულად გასაგები იყო და გვჭირდებოდა ახსნა, თუ რა მოიაზრებოდა ამ საგნის ქვეშ. ამიტომ დავარქვით საგანს კომპიუტერული ტექნოლოგიები. ახლა, მეტად ცხადია, რას მოიცავს საგანი, რომელიც სკოლებში შემოდის. ჯერჯერობით, ისევ შემორჩენილია საგანი ისტ-ის სახელწოდებით ზედა კლასებში, თუმცა, საბოლოოდ, დარჩება ერთი სახელწოდებით და ეს იქნება კომპიუტერული ტექნოლოგიები.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეს საგანი არის ისტ, ჩვენ ზევით კი არ წავედით და გავართულეთ, არამედ, პირიქით, ქვედა კლასებში ჩამოვედით და უფრო გავამარტივეთ, რადგან, დაბალ საფეხურზე სწავლება, თავისთავად უფრო მარტივია. მართალია, რამდენიმე ახალი საკითხი შევიდა, მაგალითად, როგორიც არის ვიზუალური პროგრამირება, თუმცა, არც ვიზუალური პროგრამირებაა ის საკითხი, რაც ჩვენს სისტემაში არავის გაუგია.

საგნის სწავლების ეტაპები ასე გაიწერა: 400 სკოლა საპილოტე რეჟიმში ჩაერთო, სექტემბრიდან მათ დანარჩენი ქართულენოვანი სკოლები დაემატება და ბოლო ეტაპზე, დავიწყებთ მუშაობას არაქართულენოვან სკოლებშიც.

**– ექსპერტის შეაფასებით, რა მდგომარეობაა კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნის მხრივ მოსწავლეებში, აღმოჩნდნენ თუ არა ისინი მზად დისტანციურ სწავლებაზე გადასართველად?**

– ვფიქრობ, უფრო მეტად მშობლები არ აღმოჩნდნენ მზად ამისთვის, რადგან დღევანდელ რეალობაში ბავშვი სიარულს, ლაპარაკს და კომპიუტერთან მუშაობას/ურთიერთობას ერთდროულად სწავლობს. ანუ შემცირდა ის ასაკი, როცა ადამიანი იწყებს თვითგანათლებას. ბავშვების ნაწილმა, პირველ კლასში რომ მოდის, შეიძლება იცოდეს წერა, ვიღაცამ მათემატიკის საწყისები, გეომეტრიული ფიგურები ან ინგლისური ენა, უბრალოდ, მათი ცოდნა არის არათანაბარი და არასისტემური. ამ საგანმა კი, პრინციპში, ეს ფრაგმენტული და არასისტემური ცოდნა უნდა გაამთლიანოს და სწორი მიმართულება მისცეს მათი განვითარებისთვის. რასაკვირველია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა პროგრამისტი უნდა გაიზარდოს, როგორც მათემატიკას და ფიზიკას სწავლობს ადამიანი სკოლაში, ითვისებს იმ საჭირო და აუცილებელ უნარებს, რომელსაც შემდეგ გამოიყენებს ცხოვრებაში, სწორედ ამ მიზნით და მიმართულებით უნდა ისწავლონ ეს საგანიც, მნიშვნელობა არ აქვს რა პროფესიას აირჩევენ მომავალში. მთავარია, ის ძირითადი უნარები შეიძინონ, რომელსაც ცხოვრებაში, მიუხედავად პროფესიისა, მნიშვნელოვნად გამოიყენებენ. ალბათ ძნელად წარმოსადგენია ექიმი კომპიუტერის გარეშე. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ექიმს კომპიუტერი ჩაანაცვლებს, მაგრამ ნიშნავს იმას, რომ ტექნოლოგია იქნება ის ინსტრუმენტი, რომელიც მეტ შესაძლებლობას მისცემს მას იმუშაოს სრულყოფილად. მართლა მიჭირს დღვანდელობაში ისეთი პროფესიის დასახელება, სადაც კომპიუტერს არ გამოიყენებენ, მანქანის ხელოსანიც კი აქტიურად იყენებს მას. საგნის შემოტანაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება – მცირე ასაკიდანვე გაამთლიანოს ბავშვებში თვითგანათლებით მიღებული არათანაბარი ცოდნა. ერთმა უცხოელმა კოლეგამ, რომელიც მსოფლიო ბანკში მუშაობს, მითხრა, რომ საქართველოში ტექნოლოგიებისა და მასზე ხელმისაწვდომობის მხრივ არ ხართ ცუდ პოზიციაშიო და ასეთი მაგალითი მოიყვანა, რომ ერთ-ერთ შეხვედრაზე რეგიონების სკოლის მოსწავლეებს დაუსვა კითხვა: თუ არის თქვენ შორის ვინმე, ვინც ინტერნეტში არასდროს შესულა? აღმოჩნდა, რომ ხელი არავინ აიწია. შემდეგ ჰკითხა, ასეთ თანატოლს თუ იცნობდნენ, არც ასეთი ნაცნობი აღმოაჩნდათ ამ ბავშვებს. ამას იმიტომ გიყვებით, რომ ტექნოლოგიებთან ურთიერთობის ელემენტარული ცოდნა და წვდომა აქვთ მოსწავლეებს, ახლა მნიშვნელოვანია, მასზე დავაშენოთ საბაზისო ცოდნა – ტექნოლოგიების სწორად გამოყენების უნარები და ა.შ. დღეს იმაზეც აქტიურად მიდის საუბარი, რომ პანდემიასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა გაამძაფრა ბავშვების ტექნოლოგიებთან ურთიერთობა – ბევრ დროს ატარებენ კომპიუტერთან. რა თქმა უნდა, აუცილებელია ზომიერების დაცვა, უბრალოდ, კომპიუტერთან გატარებული დრო სასურველია სასარგებლოდ გამოვაყენებინოთ.

**– საინტერესოა მასწავლებლების შეფასებაც. რა საჭიროებები იკვეთება და რა ხელშეწყობა აქვს მასწავლებლებს რომ განვითარდნენ ამ მიმართულებით?**

– ერთი პრობლემა იყო ის, რომ ვინაიდან საგანი მხოლოდ ორ კლასში ისწავლებოდა, საათების რაოდენობაც ცოტა იყო, მასწავლებელი მთელ დროს მხოლოდ ამ საგნის სწავლებას ვერ უთმობდა. რა თქმა უნდა, იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც ამბობდნენ, რომ მხოლოდ ამ საგანს ასწავლიდნენ, მაგრამ, ძირითადად, როგორც წესი, ისტ-ის სწავლება შეთავსებული ჰქონდათ მასწავლებლებს. ახლა საათების რაოდენობა გაიზარდა და გაჩნდა შესაძლებლობა, რომ მთელი დრო ამ საგნის სწავლებას დაუთმონ, შესაბამისად, მეტი დრო დაუთმონ ამ მიმართულებით განვითარებას. ცხადია, მასწავლებელთა განვითარებისთვის იგეგმება ტრენინგები და ვებინარები. ასევე, გამოცდების ეროვნული ცენტრი შეიტანს მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდებში მთელ რიგ საკითხებს ამ მიმართულებით, რაც ბუნებრივია, რადგან ეს თანმდევი პროცესია.

**– პილოტირების რეჟიმში, ვინ ასწავლის საგანს – სპეციალურად ამ საგნის მასწავლებლები თუ დაწყებითების მასწავლებლებიც შეითავსებენ ახალი საგნის სწავლებას?**

– ასეთი ვითარება გვაქვს – რადგან საგანი ისევ ისტ-ია, 2019 წელს გაკეთებული ჩანაწერის თანახმად, პირველ რიგში, საგნის საათები გადაეცემა იმ მასწავლებლებს, რომლებიც უშუალოდ ამ საგანს ასწავლიან, ანუ ისტ-ის მასწავლებლებს. თუ მათი საათობრივი ბადე შევსებულია, მაშინ სკოლა საათებს გადაუნაწილებს საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებს – ფიზიკის და მათემტიკის მასწავლებლებს ექნებათ შესაძლებლობა, ასწავლონ კომპიუტერული ტექნოლოგიები.

**– საგნის პილოტირება დაიწყო „ახალი სკოლის მოდელში" ჩართულ ქართულენოვან 400 სკოლაში. როგორია გეგმა – რამდენ ხანს გაგრძელდება საპილოტე რეჟიმი და როდის შევა დანარჩენ სკოლებში?**

– სექტემბრამდე საგანი არ არის სავალდებულო სხვა სკოლებისთვის. თუმცა, მიუხედავად ამისა, არიან სკოლები, რომლებმაც თავიანთ სკოლებში ამ საგნის სწავლების სურვილი გამოთქვეს. მიმდინარე სემესტრის განმავლობაში, „ახალი სკოლის მოდელში" ჩართული ქოუჩები, კვირაში ორჯერ, გამართავენ ვებინარებს, რომელზე დასწრებასაც შეძლებენ მსურველი მასწავლებლები, ისინი, ვინც ტექნოლოგიებთან ან კონკრეტულად საგანთან არიან დაკავშირებული. პროცესი უკვე დაწყებულია. ამ მიმართულებით გარკვეულ აქტივობებს მასწავლებელთა სახლიც გეგმავს. სექტემბრამდე ეს იქნება ღია ტრენინგები, ხოლო სექტემბრიდან საგნის სწავლება უკვე ყველა სკოლისთვის სავალდებულო გახდება.

**– იქნება თუ არა კიბერუსაფრთხოება ერთ- ერთი მნიშვნელოვანი თემა/ მიმართულება ახალი საგნის სწავლებისას?**

– რა თქმა უნდა, უსაფრთხოების თემა ძალიან მნიშვნელოვანია და ეს ახალ საგანშიც აისახება. პირველ ეტაპზე, ყველა ვცდილობდით, გვეპოვნა ის შესაძლებლობები და სწორად გამოყენების წესები, რომელსაც დისტანციური სწავლება იძლევა. ფაქტობრივად, გაჩნდა ახალი სივრცე, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. მახსენდება, საქართველოს თავდაცვის კონცეფციაში, 2008 წლის ომის შემდეგ, როგორ გაჩნდა ვირტუალური სივრცე. ანუ ქვეყანამ, როცა სამხედრო პრობლემა შეექმნა, თქვა, რომ უნდა გვქონდეს გეგმა გაწერილი როგორ ვიცავთ სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო სივრცეებს და როგორ ვიცავთ ელექტრონულ/ვირტუალურ სივრცეს, იმიტომ, რომ ის ჩვენი ნაწილია და უამრავი რამ დამოკიდებულია მასზე. ასევე საგანმანათლებლო სივრცეშიც გაჩნდა ვირტუალური სივრცის აუცილებლობა, რომელსაც, ბუნებრივია, თანმდევი პრობლემებიც მოჰყვება – როგორ დავიცვათ წესრიგი, როგორ ავუხსნათ ეს ყველაფერი ბავშვებს, მაგალითად, კლასში თუ იცელქებს, გასაგებია, ამის შესახებ ვესაუბროთ, მაგრამ ინტერნეტში თუ იცელქებს, მისთვის ცოტა გაუგებარია, რა ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს ეს. ამიტომ, ამ მიმართულებით, უამრავი თანმდევი საკითხი იქნება გათვალისწინებული ახალი საგნის ფარგლებში.

საგანი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება – პირველი არის საკუთრივ ტექნლოგიები, ანუ პროგრამირების საწყისები და ა.შ. მეორე – ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რაც პროგრამების სწორად არჩევას და მათში სწორად მუშაობას გულისხმობს. მესამე არის ციფრული მოქალაქეობა – რა უფლებები მაქვს მე, როგორ დავიცვა სხვისი უფლებები, უსაფრთხოება – რა არის პაროლი, როგორი უნდა იყოს პაროლი და ა.შ. ამდენად, რა თქმა უნდა, კიბერუსაფრთხოება იქნება ახალი საგნის ერთ-ერთი კომპონენტი.

**– რადგან ჯერჯერობით სახელმძღვანელო არ არსებობს, როგორ უნდა ასწავლონ სკოლებში ახალი საგანი?**

– ამ საგანში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწავლება ორიენტირებული იყოს პროექტზე. მე ისეთი გაკვეთილიც მინახავს კომპიუტერულ ტექნოლოგიაში, როცა მოსწავლე დაფასთან გამოდის და გვიყვება, როგორ გააბოლდოს ტექსტი. არადა, დეკლარაციული ცოდნა, ამ შემთხვევაში, სულაც არ არის მნიშვნელოვანი, მთავარია, ბავშვმა შეძლოს კეთება. ამიტომ საჭიროა, მასწავლებლებმა მოსწავლეები პროექტებზე ამუშაონ, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელმა მისცეს დავალება: აკრიფე ტექსტი კომპიუტერში, რომელიც იქნება ამა და ამ ზომის, გააბოლდე, სათაურს მიეცი ესა და ეს ზომა და ა.შ., შემდეგ შეაფასოს. სწორედ ამ გზით გამოჩნდება, რა და როგორ გაიგო მოსწავლემ. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებისთვის მომზადებული გვაქვს საპროექტო დავალებების ბანკი და ვაგრძლებეთ ამ მიმართულებით მუშაობას. მიზანი ის არის, რომ, იდეალურ შემთხვევაში, შეიძლება რომელიმე მასწავლებელმა გორიდან ნახოს თელავის მასწავლებლის მიერ მომზადებული/ შემუშავებული საპროექტო დავალება და თქვას: ეს საინტერსოა და ჩემს მოსწავლეებთან მეც გამოვიყენებ, გადავაკეთებ და მოვარგებ ჩემს კლასს. ჩვენ გვავიწყდება, რომ მასწავლებლის პროფესიაც ისეთივე შემოქმედებითია, როგორც მხატვრის ან მუსიკოსის პროფესია. მუსიკოსსაც სჭირდება სახელმძღავნელო, მაგრამ რაც უნდა კარგად დაუწერო მას სახელმძღვანელოში, როგორი უნდა იყოს რითმების მონაცვლეობა ან როგორი ნოტი გამოიყენოს, თუ შემოქმედებითად არ მიუდგა, შეიძლება ყველა წესის დაცვით შექმნილი ნაწარმოები სულაც არ გამოუვიდეს კარგი. ამიტომ მასწავლებლებსაც უნდა ჰქონდეთ შემოქმედებითი თავისუფლება, მან კლასს, თავის მოსწავლეებს უნდა მოარგოს პროექტი. რასაკვირველია, სახელმძღვანელოც დაიწერება, მაგრამ, პირველ ეტაპზე, ჩვენ აქცენტს პროექტებით/კეთებით სწავლებაზე ვაკეთებთ.

**– სექტემბრიდან საგანი ყველა სკოლისთვის გახდება სავალდებულო, თუმცა, სავარაუდოდ, იქნება სკოლები, სადაც, ტექნიკური ბაზის არქონის გამო, ფიზიკურად გართულდება საგნის დანერგვა. ამ მიმართულებით რას გეგმავთ?**

– მსოფლიო ბანკის პროქტის ფარგლებშიც აღნუსხულია ტექნიკის ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს. ამ საგნის გარდა, როგორც იცით, სავალდებულო ხდება ელექტრონული ჟურნალის წარმოება. მასწავლებელმა ხომ უნდა შეძლოს სკოლაში ელექტრონულ ჟურნალში მონაცემების შეყვანა, ამისთვისაც აუცილებელია სკოლის ტექნიკით აღჭურვა. ეს საკმაოდ რთული და ძვირადღირებული პროცესია. იმედია, ნელ-ნელა კომპიუტერებით სკოლის აღჭურვის პროცესი კომპიუტერულ კლასებამდე მიგვიყვანს. ბევრ სკოლაში კომპიუტერული კლასი აღქმულია, როგორც კლასი, სადაც ზარი რომ დაირეკება, ბავშვები გადაინაცვლებენ სივრცეში, სადაც ტექნოლოგიებით მუშაობას შეძლებენ. საქართველოშიც გვაქვს ასეთი სკოლები. დამერწმუნებით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი სივრცეების გაჩენა, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სახლში არ აქვთ კომპიუტერი. თუმცა, ეს ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეტაპობრივად, უცხოელი პარტნიორების დახმარებით, შევძლებთ, მარტო ამის გაკეთება ძალიან გაგვიჭირდება.

**– რას მოგვცემს ახალი საგნის სწავლება?**

– ჩემი აზრით, ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ ვიყოთ მხოლოდ ტურისტული სერვისის მიმწოდებელი ქვეყანა (თუმცა, რასაკვირველია, ეს უმნიშვნელოვანესია და ძალიან გვეხმარება ამ ეტაპზე), არამედ გავხდეთ ქვეყანა, სადაც გვეყოლებიან ადამიანები, რომლებიც მომავალში რაღაც ახალს შექმნიან. საბედნიეროდ, ამის მაგალითები გვაქვს. ვინაიდან ტექნოლოგიები სულ უფრო ახალ მნიშვნელობას იძენს, აუცილებელია სწორედ დღევანდელ მოსწავლეებში აღმოვაჩინოთ „მომავლის ადამიანები" და დავეხმაროთ განვითარებაში, მით უფრო, რომ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა გვჭირდება. თუკი ადრე ქვეყნის სიძლიერედ ბუნებრივი რესურსები მიიჩნეოდა, ახლა ქვეყნის მთავარი სიმდიდრე მცოდნე ადამიანები უნდა გახდნენ. სწორედ ტექნოლოგიებია ერთ-ერთი მიმართულება, რაც, ამ კუთხით, სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ახალგაზრდა ადამიანები ხშირად ირჩევენ ფაკულტეტებს, მაგალითად, ბიზნესის მიმართულებით, რომელიც ძალიან რთული გზაა იმისთვის, რომ შენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გახვიდე, ტექნოლოგიების მიმართულებით კარგი ცოდნა კი, ხსნის ამ სირთულეს. დღეს უამრავი ახალგაზრდა დისტანციურადაც კი მუშაობს უცხოეთის ქვეყნებში. ამიტომ, ჩვენ უნდა მივცეთ მოსწავლეებს შესაძლებლობა, განვითარდნენ იმ მიმართულებით, რომელიც უფრო მეტად კონკურენტუნარიანს გახდის მათ საერთაშორისო ასპარეზზე.

**– ფიქრობთ თუ არა, რომ მიუხედავად ბევრი პრობლემისა და გამოწვევისა, დისტანციურ სწავლებას თავისი პლუსებიც ჰქონდა?**

– ყველაფერს აქვს ორი მხარე და დისტანციური სწავლებაც მოიტანს ბევრ დადებითს. პანდემიის პერიოდში მთელი ქვეყანა, ვისაც სახლში ბავშვი ჰყავს, სწავლობდა რა არის ექაუნთი, როგორ უნდა დააყენოს პაროლი, მერე როგორ უნდა შევიდეს. სხვათა შორის, ქართულ ბანკებს ძალიან დიდი პრობლემა ჰქონდა უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით – ხშირად, ინტერნეტბანკში შესვლისას, მხვდება წერილი – გაუფრთხილდით თქვენს ექაუნთს, სხვას არ მისცეთ თქვენი პაროლი ... ეს სწორედ იმის შედეგია, რომ ბევრ ადამიანს არ აქვს სწორი აღქმა, როგორ მოიქცეს ელექტრონულ სივრცეში, რადგან არ ჰქონდა ასეთი აქტიური შეხება. ახლა მთელი ქვეყანა ვსწავლობთ როგორ ვიმოქმედოთ ონლაინ სივრცეში. გარკვეულწილად, ესეც დადებითი შედეგია.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# მომავალი ძალიან არაერთფეროვანი და არაპროგნოზირებადი ფენომენია

რუბრიკის სტუმარია თამთა ბიბილაშვილი,
სეულის ჰანიანგის უნივერსიტეტის (HANYANG UNIVERSITY) სტუდენტი



## მოსწავლეობის პერიოდი – მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილები

მოსწავლეობის პერიოდი თბილისის 182-ე სკოლაში გავატარე. ეს წლები ჩემთვის ადვილი არ ყოფილა, დაწყებითი კლასები გამორჩეულად სასიამოვნოდ მახსენდება, უზომოდ თბილი და ყურადღებიანი დამრიგებელი მყავდა, ცოტა მოგვიანებით, კლასების რეფორმირებას ბევრი გაუგებრობა მოჰყვა, ამას თან დაერთო არასასიამოვნო ოჯახური პრობლემები. საბოლოოდ, ბოლო ექვსმა წელმა სკოლაზე განსაკუთრებულად კარგი მოგონებები არ დამიტოვა, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილები მასწავლა, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის ბრძოლა. ჩემთვის სკოლა, უფრო მეტად, პრობლემებს და მათთან გამკლავებას უკავშირდება.

დავდიოდი საკმაოდ ცნობილ ცეკვის სტუდიაში, სადაც ბევრი კონცერტი და შეჯიბრი გვქონდა, არაერთ მათგანში ვიკავებდით პირველ ადგილს და მახსოვს ტელეგადაცემა „ნიჭიერშიც“ მივიღეთ მონაწილეობა. სკოლის ბოლო წლებში განსაკუთრებულად აქტიური გავხდი სასკოლო და მოსწავლეთა ოლიმპიადებში, კლასგარეშე აქტივობებსა და ღონისძიებებში. გამიჩნდა სურვილი, მიმეღწია რაც შეიძლება მეტისთვის და ვაღწევდი კიდეც. მიღებული მაქვს ბევრი სერტიფიკატი და ჯილდო სხვადასხვა კონკურსებსა და აქტივობებში.

სკოლის პერიოდს, ერთმნიშვნელოვნად, უდიდესი წვლილი მიუძღვის მოსწავლის განვითარებასა და მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში. იყვნენ მასწავლებლები, რომლებისგანაც დიდ ცოდნას ვიღებდით და მათი დაფასება, ვფიქრობ, აუცილებელია. იყო საგნები, რომლებსაც განსაკუთრებული ინტერესით ვსწავლობდი, ძირითადად, უცხო ენები. ალბათ, ამან განაპირობა მომავალში უცხო ენების მიმართულებით სწავლის გაგრძელების სურვილი.

## პროფესიის არჩევანი

ბაკალავრიატის საფეხური დავასრულე ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განხრით – ინგლისური ენის ფილოლოგია. პროფესიის არჩევანი კი განაპირობა ჩემმა სურვილმა და ინტერესმა უცხო ენებისადმი. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში დავდიოდი უცხო ენების ცენტრში, სადაც გავიცანი უზომოდ საინტერესო და მცოდნე პედაგოგი. მისმა პროფესიონალიზმმა და საქმისადმი თავდადებამ მნიშვნელოვან საკითხებზე დამაფიქრა და გადავწყვიტე, უფრო ღრმად და საფუძვლიანად შემესწავლა ინგლისური ენა. მიმაჩნია, რომ ენას დიდი ძალა აქვს. ჩემი ოჯახის წევრებს არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის, რაც უფრო მეტი ენა იცი, მით მეტი ადამიანი ხარ. ეს არა მხოლოდ ადამიანის პროფესიას, არამედ, ზოგადად ცხოვრებას მიესადაგება. მეტად იხსნები და ეცნობი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს, საზოგადოებას, მათ კულტურას, უამრავ ინფორმაციასთან გაქვს წვდომა.

## რატომ კორეა

ალბათ, ეს ჩემთვის ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვაა და ყოველთვის, როდესაც მეკითხებიან: „რატომ კორეა?“, პასუხი, ერთდროულად, მარტივიცაა და რთულიც. ყველაფერი კორეული ენისა და კულტურისადმი ჩემი ინტერესით დაიწყო. ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში, ინტერნეტში, სრულიად შემთხვევით, ეს მშვენიერი სამყარო აღმოვაჩინე, კორეული სერიალებისა და კორეული პოპულარული მუსიკის მეშვეობით. კორეის მიმზიდველობა ბევრ ფაქტორს უკავშირდება და ცალ-ცალკე აღებულ სფეროებში, შესაბამისად, სხვადასხვაა. კორეული სერიალები საინტერესო სიუჟეტებით გამოირჩევა, მათში ჩადებული იდეოლოგიითა და საზოგადოების კულტურულ-ტრადიციული ღირებულებებით; კორეული სიმღერები, თუკი ყველაზე გავრცელებული სახეობით – K-pop-ით ვიმსჯელებთ – რიტმით, საცეკვაო შესრულებით, საინტერესო ქორეოგრაფიითა და სინქრონით; მუსიკალური კლიპები, თავის მხრივ – ფერადოვნებით და ა.შ. სერიალებს ხშირად სუბტიტრებით ვუყურებდი. ერთ დღესაც გადავწყვიტე, კორეული ენა ისე მესწავლა, რომ სუბტიტრების გარეშე გამეგო რაზე საუბრობდნენ და მღეროდნენ. სწორედ ამიტომ ავირჩიე კორეა და კორეული ენა. თავდაპირველად, ენის შესწავლა ინტერნეტის საშუალებით დავიწყე, შემდეგ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში შევედი კორეული ენის კურსებზე. ორწლიანი კურსის გავლის შემდეგ, სწავლა უცხო ენების ცენტრში გავაგრძელე. ამ პერიოდში, საქართველოში, კორეასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას ვესწრებოდი და ვმონაწილეობდი. ნელ-ნელა კორეისადმი ინტერესი უფრო და უფრო გამიღრმავდა და, სწორედ ენის ცენტრში სწავლის პერიოდში, გადავწყვიტე, განცხადება შემეტანა კორეის სახელმწიფო დაფინანსების სტიპენდიის პროგრამაზე და სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე გამეგრძელებინა.

ამჟამად, ვსწავლობ სეულში, ჰანიანგის უნივერსიტეტში (Hanyang University), რომელიც რეიტინგით კორეის 10 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალშია. ჩემი სპეციალობა კორეული ენის სწავლებაა, რაც, კორეული ენის ძირფესვიან შესწავლასთან ერთად, ასევე, მოიცავს კორეის ეკონომიკას, პოლიტიკას, საზოგადოებრივ და კულტურულ საკითხებს. შესაბამისად, იმის გარდა, რომ ვსწავლობ კორეული ენის საფუძვლებს, სტრუქტურას, სწავლების მეთოდებს, ვეცნობი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და ისტორიულ მხარეს, რაც მნიშვნელოვანია კორეული ენის პროფესიონალისთვის.

## ჰანიანგის უნივერსიტეტის ისტორია

ჰანიანგის კერძო უნივერსიტეტი, 1939 წელს დაარსდა. მისი მთავარი საუნივერსიტეტო ტერიტორია სეულში (Seoul campus) მდებარეობს, მეორე განყოფილება – ქალაქ ანსანში (ERICA campus). ჰანიანგის უნივერსიტეტი, თავდაპირველად, დაარსდა როგორც ქვეყნის პირველი საინჟინრო ინსტიტუტი, თუმცა, დროთა განმავლობაში, სწავლების სფეროთა არეალი გაფართოვდა. უნივერსიტეტის 330 000 კურსდამთავრებულს შორის არიან არა მხოლოდ ინჟინრები, არამედ სხვადასხვა სფეროს პროფესიონალები. 2018 წელს ჰანიანგი დასახელდა რიგით პირველ უნივერსიტეტად, რომლის კურსდამთავრებულებიც სხვადასხვა კომერციულ კომპანიათა მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელები გახდნენ; ხოლო 2019 წელს, რიგით 150-ე, მსოფლიოს უნივერსიტეტთა სიაში შეიდა. უნივერსიტეტში, ყოველწლიურად, 7400 უცხოელი სტუდენტი სწავლობს. ჰანიანგის 820 პარტნიორ უნივერსიტეტს შორის, 88 ქვეყანაში, შედის: მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, კემბრიჯის უნივერსიტეტი, ცინგჰუას უნივერსიტეტი და სხვ.

## აკადემიური მიღწევები – სტიპენდიები და გრანტები

სტიპენდიები სტუდენტებისთვის მრავალ ქვეყანაში არსებობს, შესაბამისად, მოთხოვნები და პირობები სხვადასხვაა. მე კორეის სახელმწიფო დაფინანსება (KGSP) ავიღე, რომლის მიზანია, მისცეს უცხოელ სტუდენტებს შესაძლებლობა, სწავლა მაგისტრატურასა და დოქტორანტურის პროგრამებზე კორეის რესპუბლიკაში გააგრძელონ. სტიპენდია მოიცავს, ყოველთვიურად, 1 000 000 ვონს, რაც 921 დოლარის ექვივალენტია. სტიპენდიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ძირითადად, სხვადასხვა ქვეყნებში კორეის საელჩოს მეშვეობით ხდება. კონკურსანტების შერჩევა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. წარმატებულ კონკურსანტებს სტიპენდია უნაზღაურებს: თვითმფრინავის ბილეთის საფასურს, დასაბინავებლად, პირველად, 200 000 ვონს (185 დოლარს), ყოველთვიურ სტიპენდიას – 921 დოლარს, სამედიცინო დაზღვევას – 20 000 ვონის (18 დოლარი) ოდენობით ყოველთვიურად, კორეული ენის კურსების საფასურს, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე სწავლის საფასურს, ასევე, არის ფულადი წახალისებები, მაგალითად, სტუდენტები, რომლებიც მეხუთე დონეს აიღებენ კორეული ენის ტესტში (TOPIK) დამატებით მიიღებენ 100 000 ვონს (92 დოლარს). ამ ყველაფერთან ერთად, არის მოთხოვნები, რომლებიც ზუსტად უნდა შეასრულონ სტიპენდიანტებმა, მაგალითად, ყოველ სემესტრში დააგროვონ, არანაკლებ, 80 საშუალო ქულა (GPA), მკაცრად შეასრულონ სტიპენდიის კოორდინატორის მითითებები და ა.შ. კერძოდ სტიპენდიის ოდენობაზე თუ ვისაუბრებთ, ის საკმარისად ითვლება კორეაში საცხოვრებლად, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებლის საფასური იმ თანხიდან იქვითება, რომელსაც ყოველთვიურად იღებს სტიპენდიანტი. მიუხედავად ამისა, თუ სტუდენტი დარჩენილ თანხას ჭკვიანურად გადაანაწილებს, შეძლებს დაიკმაყოფილოს ცხოვრებისეული მოთხოვნები.

## მსგავსება და განსხვავება ქართულ და კორეულ უნივერსიტეტებს შორის

კორეული და ქართული სასწავლებლები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. პირველ რიგში, თვალშისაცემია ის, რომ საუნივერსიტეტო ტერიტორია ყოველთვის გამოყოფილია, ლოკალურადაა განთავსებული. ზოგიერთი მათგანი ისეთი დიდია, რომ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ავტობუსით გადაადგილებაა საჭირო. სწავლის დაწყება სწორედ პანდემიის პერიოდში მომიწია, შესაბამისად, არცთუ ისე ადვილია, ზუსტად გიპასუხოთ ქართული და კორეული განათლების სისტემების შედარებასთან დაკავშირებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით სასწავლო პლატფორმის შეცვლის გამო. თუმცა, მინდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ კორეელები ძალიან შრომისმოყვარეები არიან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განათლებას და ბევრს მუშაობენ იმისთვის, რომ, საბოლოოდ, წარმატებული მომავალი შეიქმნან. გასათვალისწინებელია, ასევე, დიდი კონკურენცია კორეაში, რაც, სტიმულის გარდა, ზეწოლას ახდენს ახალგაზრდებზე, იმუშაონ და ისწავლონ ორჯერ უფრო მეტად, რომ წარმატების მისაღწევად მეტი შესაძლებლობა გაუჩნდეთ.

კორეელი მოსწავლეები დილიდან ღამის 12 საათამდე სწავლობენ, სკოლის შემდეგ კერძო სასწავლებლებში მიდიან, მრავალ ღონისძიებაში მონაწილეობენ, რაც მათი პირადი დახასიათებისთვისაა საჭირო, შემდგომში ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებში მოსახვედრად. კონკურენციაა უნივერსიტეტებს შორისაც, ცდილობენ, რაც შეიძლება უკეთესი სასწავლო პირობები შესთავაზონ სტუდენტებს, კვალიფიციური კორეელი და უცხოელი მოწვეული ლექტორები, კვლევის ლაბორატორიები, კომპიუტერული ტექნოლოგიები და საჭირო ინფრასტრუქტურა. უნივერსიტეტი არ იშურებს ძალებს, ხერხებს, აქტივობებს, ღონისძიებებს, კურსებს, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს. ასევე, პროფესიის მიხედვით, სტუდენტებს კარიერულ წინსვლასა და სამუშაოს დაწყებას უადვილებენ, ამისთვისაც ცალკე კურსები არსებობს. სწორედ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტები, ე.წ. SKY უნივერსიტეტები, ითვლება საკმაოდ პრესტიჟულად.

ქართულ და კორეულ საგანმანათლებლო სისტემებს შორის მსგავსებაც არის და განსხვავებაც. კონკურენციის თემა, რა თქმა უნდა, საქართველოში ისე მწვავედ არ დგას, როგორც კორეაში. ამის გამო, კორეელი მოსწავლეები თავისი დროის უმეტესობას სწავლაში და სკოლის შემდეგ მოსამზადებელ ცენტრებში ან ინდივიდუალურად სწავლაში ატარებენ, რაც მნიშვნელოვნად განასხვავებთ ქართველი მოსწავლეებისგან. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების დროს, აბიტურიენტებს სრულ მხარდაჭერას უცხადებს და მშვიდ გარემოს უქმნის კორეული საზოგადოება – მაქსიმალურად იზღუდება სამანქანო მოძრაობა საგამოცდო ცენტრებთან და ყველას სიწყნარისკენ მოუწოდებენ, რომ აბიტურიენტებმა გამოცდაზე უფრო მეტად მოახდინონ კონცენტრირება. უცხოური, ისევე როგორც ქართული სასწავლებლები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამებისა და კურსების საშუალებით თანამშრომლობენ, რაც ნებისმიერ სტუდენტს, ნაწილობრივ, უადვილებს უცხოეთში სწავლის შანსის მოპოვებას.

## საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკაც, ისევე როგორც ბევრი სხვა დაწესებულება კორეაში, გამარტივებული და სტუდენტის მოთხოვნებთან მაქსიმალურად შეფარდებულია. შესვლა სტუდენტური ბარათით ხდება, კომპიუტერული მომსახურება სტუდენტს უადვილებს სასურველი წიგნის მოძიებას, გამოტანას ან დაბრუნებას. ჰანიანგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ექვსსართულიანია და, დამატებით, მიწისქვეშა 3 სართული აქვს. სართულები თემატურადაა დაყოფილი. მრავალი საკითხავი დარბაზია, სადაც შეგიძლია კომფორტულად წაიკითხო სასურველი წიგნი ან იმეცადინო. წიგნებიდან გვერდების კოპირება და წიგნების გამოტანაც შესაძლებელია.

## ამფითეატრი – ყველაზე მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო სივრცე

უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე, კორეაში, სხვა ქალაქში, გვანგჯუში ვცხოვრობდი. ჰანიანგის უნივერსიტეტს სეულში ჩამოსვლის დროს ვესტუმრე, რომ დამეთვალიერებინა, როგორ უნივერსიტეტში ვისწავლიდი. ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ უნივერსიტეტი გორაკიან ადგილასაა განლაგებული, სადაც ბევრი კიბე და აღმართ-დაღმართია. საინტერესოა, რომ სასწავლებელში, მთავარ შესასვლელთან, მეტროსადგურია, სახელწოდებით – „ჰანიანგის უნივერსიტეტი“, სტუდენტებს მისვლა რომ გაუადვილდეთ.

ჩემთვის ყველაზე საინტერესო სივრცე უნივერსიტეტის ამფითეატრი და მისი მიმდებარე ტერიტორიაა, ასევე სასწავლებლის მეორე შესასვლელი და მრავალი კაფე-რესტორანი, სასადილო და გასართობი ადგილი, სადაც ხშირად დადიან სტუდენტები. თუმცა, ბოლო პერიოდში, პანდემიის გამო, ეს ადგილები ან დაკეტილია, ან სამუშაო საათებია შეზღუდული.

## პანდემია – შეცვლილი ყოველდღიურობა და სასწავლო პროცესი

ისევე როგორც ყველას, ჩვენც მოგვიწია სწავლების ონლაინ რეჟიმზე ადაპტირება. აქამდე რთულად წარმოსადგენი სასწავლო პროცესიც კი დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. უმრავლე-

## ქართველი სტუდენტები უცხოეთში

სობა თვლის, რომ აუდიტორიაში სასწავლო პროცესის ჩატარება გაცილებით გასაგები და ეფექტური იყო. მეც ვემხრობი ამ პოზიციას. ჩემთვის, როგორც უცხოელი სტუდენტისთვის, საზღვარგარეთ სწავლის სრული გამოცდილების მისაღებად, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა სწავლების ტრადიციული ფორმა. პროფესორებიც, გრძელვადიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, უკეთ და ეფექტურად იყენებენ აუდიტორიაში სწავლების პროცესს, მეტი ინტერაქცია ხდება სტუდენტ-ლექტორსა და თვითონ სტუდენტებს შორის, ასევე, ნაკლებად იქმნება ლექციაზე კონცენტრაციის პრობლემა. პანდემიამ ჩვენი ცხოვრება და სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად შეცვალა. ძირითადი დროის გატარება საცხოვრებელში მიწევს და, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა ნორმების დაცვა, მათთან ადაპტირება. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ლექტორები და მასწავლებლები ცდილობენ, შეისწავლონ და ეფექტურად გამოიყენონ ყველა საშუალება, რასაც მათ ინტერნეტ სივრცე და კომპიუტერი სთავაზობს. მიუხედავად ამისა, მრავალი სხვა პრობლემა ჩნდება. ვფიქრობ, სანამ პანდემია არ დასრულდება, სახიფათოა აუდიტორიაში დაბრუნება. სწავლების ონლაინ რეჟიმს კი, ჯერ კიდევ, გათავისება და დახვეწა სჭირდება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

### გამოცდილების გაზიარება მომავალი სტუდენტებისთვის

დღეს, სულ უფრო და უფრო იზრდება საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა. უცხოეთში სწავლა არ ნიშნავს მხოლოდ ცხოვრებაში რაღაც პუნქტის შესრულებას, არამედ გაცილებით მეტს. ეს არის ახალ საზოგადოებასთან კონტაქტის და მრავალი ახალი გამოცდილების დაგროვების უდიდესი შანსი, რომელიც, ვფიქრობ, ყველა სტუდენტმა უნდა გამოიყენოს, თუ ამის შესაძლებლობა და სურვილი არსებობს. არის რიგი შემთხვევები, როდესაც სტუდენტები მიდიან საზღვარგარეთ, შემდეგ მერყეობენ, ზუსტად არ იციან რა და როგორ ისწავლონ ან ამას გვიან აანალიზებენ. პირველ რიგში, საჭიროა, სტუდენტმა ზუსტად განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები და ინტერესები, შემდეგ მოიძიოს სხვადასხვა მასალა უნივერსიტეტებსა და მათ მიერ შეთავაზებულ პროგრამებზე, ამისთვის ინტერნეტში საკმაოდ ვრცელი მასალაა. გარდა ამისა, სასურველი იქნებოდა, თუ სტუდენტი წინასწარ გაესაუბრება პროფესორებს ან უნივერსიტეტის წარმომადგენელს, დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად. საზღვარგარეთ სწავლა და ცხოვრება ყველასთვის ადვილი არაა, სტუდენტები წინასწარ უნდა გაეცნონ საგნების არჩევის პროცესს, ყველა უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს სხვადასხვა მოთხოვნები აქვს. ენის ბარიერი, ჩემ შემთხვევაში, პრობლემას არ წარმოადგენდა, სასურველია, სტუდენტმა რაციონალურად განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები და, საჭიროების შემთხვევაში, გაიღრმავოს ცოდნა იმ ენისა და იმ ქვეყნის კულტურის, სადაც წასვლას აპირებს.

კორეის სახელმწიფო დაფინანსების მქონე სტუდენტებს ეძლევათ შანსი, ერთი წლის განმავლობაში, შეისწავლონ ან კიდევ უფრო გაიღრმაონ ცოდნა კორეულ ენაში. ვფიქრობ, გარკვეულ ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებები ყოველთვის არსებობს და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ადმინისტრაციასთან კონსულტაცია და კომუნიკაცია. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და თავისუფალია მომავალი პროფესიის არჩევანში. კორეის შემთხვევაში, არიან სტუდენტები, რომლებიც კორეული ენის უფრო ღრმად შესასწავლად და მომავალში ამ ცოდნის სხვადასხვა სფეროში გამოყენების მიზნით ჩამოდიან, ასევე სტუდენტები, რომლებიც ბიზნესის, კომპიუტერული მეცნიერებების, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს თუ ეკონომიკურ-პოლიტიკური პროფესიებით ინტერესდებიან.

### კორეული სტუდენტური ცხოვრება

კორეაში ცხოვრება საკმაოდ დინამიური და ცოცხალია. აქ ახალგაზრდებისთვის, და არა მხოლოდ მათთვის, ძალიან ბევრი გასართობი და მოსანახულებლად საინტერესო ადგილია. სტუდენტები, საღამოებს და თავისუფალ დროს, ხშირად მეგობრებთან ერთად ატარებენ. მათთვის მრავალფეროვანი არჩევანია – ყველაზე პოპულარული კარაოკე ბარები, შოპინგ ცენტრები, საკონცერტო წარმოდგენები, კორეული სამზარეულოს გემრიელი რესტორნები და სხვადასხვა გასართობი დაწესებულებები. თუმცა, პანდემიამ მრავალი ასეთი ცენტრი დახურა. უკანასკნელი მონაცემებით, კორეაში აკრძალულია რაიმე სახის ღონისძიება და ხუთ ადამიანზე მეტის შეკრება; რესტორნები, საღამოს 9 საათის შემდეგ, მხოლოდ მიტანის სერვისით მუშაობენ, კაფეების უმრავლესობაში, რომლებიც ახალგაზრდებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, გაჩერება არ შეიძლება, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, ახალგაზრდებს არცთუ ისე დიდი არჩევანი აქვთ გართობის თვალსაზრისით.

კორეელი სტუდენტებისთვის პრიორიტეტული, რასაკვირველია, სწავლაა. უმრავლესობა დიდ დროს ისევ სწავლას უთმობს, მაგრამ იმავდროულად იციან, როგორ განიტვირთონ გადაღლილი კვირის ბოლოს. ჩემთვის ყოველთვის შთამბეჭდავია, როგორ ახერხებს კორეელი საზოგადოება თავდაუზოგავად მუშაობას და შემდეგ, ყოველი კვირის ბოლოს, საინტერესოდ განტვირთვას, იქნება ეს მეგობრების გარემოცვაში თუ ინდივიდუალურად, საკუთარი ინტერესების გაღრმავებით. ჩემ შემთხვევაში, თავისუფალ დროს პირად განათლებას ვუძღვნი. ვცდილობ, ინტერნეტის მეშვეობით, მოვიძიო საინტერესო ინფორმაცია და კურსები, რომლებიც მომავლისთვის საინტერესო პერსპექტივებს გამიხსნის, ასევე, დაკავებული ვარ ჩემი ჰობით და ახლო მომავალში საინტერესო გეგმების განხორციელებაზე ფიქრით.

### კორეული წეს-ჩვეულებები

კორეული წეს-ჩვეულებები საკმაოდ მრავლისმომცველი თემაა. მახსოვს, საქართველოში ყოფნის დროს, ამ თემით კონფერენციაშიც მივიღე მონაწილეობა და შემდგომ, სტატიაც დავწერე. საქართველო და კორეა ერთმანეთისგან ძალიან შორს მდებარე ქვეყნებია, თუმცა, ბევრ განსხვავებასთან ერთად, მსგავსებაც არსებობს, მაგალითად, უფროსებისა და საკუთარი ტრადიციების დიდი პატივისცემა, ხალხთა გულთბილობა და სტუმართმოყვარეობა. კორეაში ჩამოსვლამდე, დიდი ხნით ადრეც, ბევრი რამ ვიცოდი კორეული ტრადიციების შესახებ, თუმცა, რადგან კორეული ტრადიციები კონფუციანიზმს ეფუძნება, ზოგიერთი ტრადიცია და წეს-ჩვეულება უცხოელმა სტუმარმა შეიძლება გაითვალისწინოს, მაგრამ მაინც გაუგებარი იყოს მისთვის. კორეელი საზოგადოება დიდ პატივს სცემს უფროს თაობას, როგორც უკვე აღვნიშნე და ხშირ შემთხვევაში, თუკი რამდენიმე თაობა ერთად სადილობს, ჯერ უფროსებმა უნდა დაიწყონ სადილი, შემდეგ – დანარჩენებმა. იგივე წესი ვრცელდება, როდესაც კორეული კომპანიიდან თანამშრომლები მიდიან სასადილოდ – პოზიციით უფროსს ენიჭება პრივილეგია. არსებობს გარკვეული ეტიკეტი, რომელიც უფროსებთან სადილის ან სასმელის დალევის დროს უნდა გაითვალისწინოთ, როგორიცაა სასმელის დალევის დროს თავის მიტრიალებით დალევა. ნივთების მიცემა-გამორთმევის დროს, ორი ხელით მიწოდება პატივისცემის ნიშნად ითვლება, შესაბამისად, თანამშრომლებთან ან უფროს თაობასთან ერთად სადილის დროსაც მოდუნება არ შეიძლება. ზემოთ ჩამოთვლილი და მრავალი სხვა ნიუანსის ცოდნა აუცილებელია.

### მომავლის გეგმები

მომავალი ძალიან არაერთფეროვანი და არაპროგნოზირებადი ფენომენია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ნებისმიერი მდგომარეობისთვის მზადყოფნაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა დიდ როლს ითამაშებს საქართველოში დასაქმებაში, მით უმეტეს, ჩემი პროფესიისთვის, როგორც კორეული ენისა და კულტურის პროფესიონალსა და მომავალ პედაგოგს, კორეელ საზოგადოებასთან ინტერაქცია და საინტერესო გამოცდილების დაგროვება მნიშვნელოვნად დამეხმარება კარიერულ წინსვლაში. რასაკვირველია, ვისურვებდი, მომავალში, საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის მაქსიმალურად გამოყენება და სხვა დაინტერესებული ადამიანებისთვის გაზიარება შევძლო. ვფიქრობ, ჩემი მიზანი სამომავლოდ სწორედ ეს იქნება.

### შორიდან დანახული სამშობლო, რომელიც ულამაზესია...

საზღვარგარეთ ცხოვრება, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ადვილი არ არის. ნებისმიერი ადამიანი, მარტო უცხო ქვეყანაში, ბევრ დაბრკოლებას და შეიძლება პრობლემასაც გადაეყაროს. მინდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ ჩემი ოჯახი უაღრესად ტრადიციულია და ქართულ წეს-ჩვეულებებს ყოველთვის დიდი პატივისცემით ვეკიდებოდით. ბაბუაჩემი პატივსაცემი პიროვნება და უაღრესად პატრიოტი სამხედრო პოლკოვნიკია და როგორც სამხედრო ოჯახში აღზრდილს, სამშობლოს სიყვარული, ქართული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინება, სადაც უნდა ვიყო, ჩემს გულში, ყოველთვის დიდ ადგილს იკავებს. საზღვარგარეთ ყოფნისას უფრო მეტად ვფიქრობ და მენატრება ჩემი ოჯახი და სამშობლო, ყოველთვის ვინტერესდები და ვეცნობი ჩემს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. შორიდან დანახული ჩემი სამშობლო, ულამაზესი მხარე, სადაც დავიბადე, გავიზარდე და სადაც ჩემი ფესვებია, ყოველთვის თბილად მახსენდება. განსაკუთრებით ერთი ეპიზოდი მახსენდება, როდესაც კორეაში ახალი ჩამოსული ვიყავი, მეგობრებთან ერთად, გვანჯუში, პირველად ავედით მთაზე და გადავწყვიტეთ, იქიდან ყველას რაღაც დაგვეყვირა, მე მთის ყველაზე მაღალი წერტილიდან „საქართველო" დავიძახე, რომ კორეაშიც მაღალი მთიდან გაჟღერებულიყო კორეისთვის ასე უცნობი და ჩემი საყვარელი სამშობლოს სახელი.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

## თსუ — 103

# სვიმონ კლდიაშვილის ალბომის პრეზენტაცია და გამოფენა




ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 103 წლისადმი მიძღვნილი კვირეული უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ხუროთმოძღვრის, სვიმონ კლდიაშვილის ალბომის პრეზენტაციით და გამოფენით გაიხსნა.

ალბომში, რომელიც სვიმონ კლდიაშვილის 155 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაიბეჭდა, შესულია ხუროთმოძღვრის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები, არქიტექტურული მემკვიდრეობა (ნახაზები, განხორციელებული პროექტების ძველი და ახალი ფოტომასალა), ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, 1902-1910 წლების, სამეცნიერო ექსპედიციების ამსახველი დოკუმენტები (კროკები, ანაზომები, ძველი და ახალი ფოტოები). ალბომის ავტორები არიან თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი **ზურაბ გაიპარაშვილი**, მკვლევრები – **სალომე ჭანტურიძე** და **მარიამ გურგენიძე**.

ღონისძიებას თსუ-ს რექტორი **გიორგი შარვაშიძე,** თბილისის მერის მოადგილე **ანდრია ბასილაია,** თსუ-ს რექტორის მოადგილე **ნინო ოკრიბელაშვილი,** განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თსუ-ს რექტორის, **გიორგი შარვაშიძის** თქმით, გასაკვირი არ არის, რომ უნივერსიტეტის 103-ე წლისთავთან დაკავშირებული კვირეული მისი ხუროთმოძღვრის ალბომის პრეზენტაციით დაიწყო. კვირეულის ფარგლებში, კიდევ არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი.

*„სვიმონ კლდიაშვილი, შეიძლება ითქვას, პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი იყო და მის მიერ დატოვებული არაერთი ძეგლი დღემდე საამაყოა თბილისში და ყველა სხვა ქალაქში, სადაც ის მოღვაწეობდა. სასიხარულოა, რომ მისი დაბადებიდან 155 წლისთავზე უნივერსიტეტმა, პარტნიორებთან ერთად, შეძლო და ძალიან კარგი ალბომი გამოაქვეყნა, რომელიც ყველა თაობის მკითხველისთვის საინტერესო იქნება,"* – განაცხადა თსუ-ს რექტორმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ალბომი „სვიმონ კლდიაშვილი" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით მოამზადა.

თბილისის მერის მოადგილის, **ანდრია ბასილაიას** თქმით, მნიშვნელოვანია, რომ პანდემიის პირობებში, ბევრი სირთულის მიუხედავად, ეს პროექტი განხორციელდა: *„სვიმონ კლდიაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის და ბევრი სხვა შენობის პროექტირებით თავისი დიდი კვალი დატოვა ჩვენს ქალაქში. სასიხარულოა, რომ ეს ალბომი გამოიცა და ყველას ექნება შესაძლებლობა, ნახოს რამდენად მასშტაბურია მისი კვალი დედაქალაქში."*





როგორც ალბომის „სვიმონ კლდიაშვილი" ერთ-ერთმა ავტორმა, თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ზურაბ გაიპარაშვილმა აღნიშნა, გამოცემა მონოგრაფიული ხასიათისაა და მკითხველს დიდი საზოგადო მოღვაწისა და არქიტექტორის შესახებ თვალსაჩინო წარმოდგენას უქმნის. *„ალბომში დაბეჭდილია თითქმის ყველა ის ნამუშევარი, რომელიც შემორჩა არქივებში, ხელნაწერთა ცენტრში, ეროვნულ მუზეუმში და რომლის ავტორი არის სვიმონ კლდიაშვილი, ცნობილი არქიტექტორი, საზოგადო მოღვაწე,"* – განაცხადა ზურაბ გაიპარაშვილმა.

უნივერსიტეტში სვიმონ კლდიაშვილის მიერ ერთი საუკუნის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საჩუქრად გადაცემული წიგნები და ასევე, ფოტომასალა გამოიფინა, რომელიც ხუროთმოძღვრის არქიტექტურულ ნამუშევრებს ასახავს.

# როგორ ვასწავლოთ?
# უცხო ენა უცხოდ რომ არ დარჩეს




საქართველოში, ბოლო ათწლეულების მანძილზე, ინგლისური ენის მასწავლებლებისა და ამ ენის სწავლების მეთოდიკის მკვლევრებისთვის ქართულენოვანი ლიტერატურა ნაკლებად გამოიცემოდა. ამ ჩავარდნის აღმოფხვრას ემსახურება აკაკი მუმლაძის სახელმძღვანელო „როგორ ვასწავლოთ? უცხო ენა უცხოდ რომ არ დარჩეს – ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში".

წიგნი, რომელიც გამომცემლობა „ივერიონმა" გამოსცა, ფუნდამენტური ნაშრომია ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში. მასში დეტალურად და სიღრმისეულადაა მიმოხილული დარგის თეორიული საფუძვლები და ძირეული პრინციპები, მეთოდიკის ზოგადი და კერძო პრინციპები, ზოგადად განათლებისა და აღზრდის პრინციპები, მეთოდიკა, როგორც მეცნიერება, ზოგადი და კერძო მეთოდიკები; გაანალიზებულია პრობლემები უცხო ენის სწავლებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ზემოთ ჩამოთვლილი წიგნს აკადემიურ სტატუსს სძენს.

აკაკი მუმლაძის „ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის" უდავო ღირებულებას წარმოადგენს მისი პრაქტიკული მხარე. მასში სრულადაა გადმოცემული ყველა ენობრივი უნარისა და ასპექტის – კითხვა, წერა, მეტყველება, აუდირება, გრამატიკა, ფონეტიკა და ლექსიკა – სწავლების სპეციფიკა, სირთულეები, შესაბამისი მეთოდები და მიდგომები, აქტივობები და სავარჯიშოები. განსაკუთრებით საყურადღებოა ენობრივი მასალის მეთოდური ტიპოლოგია. ამ მხრივ წიგნი ძალიან ღირებულ და წონად მასალას შეიცავს ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის, რათა მათ გამართულად და კომპეტენტურად ასწავლონ ენა.

ავტორის ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი ასპექტი, რომელიც ეხება უცხო ენის სწავლებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ესენია: დაგეგმვა, გაკვეთილის სტრუქტურა და შინაარსი, სახელმძღვანელო, ცოდნა-უნარის შემოწმება, კონტროლი, აღრიცხვა და ა.შ.

„ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა" სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოს წაეყენება. იგი განკუთვნილი და რეკომენდებულია საუნივერსიტეტო სწავლების სამივე საფეხურისთვის, ასევე, ინგლისური ენის მასწავლებელთა მომზადების პროგრამისა და ტრენინგებისთვის.

სახელმძღვანელო გამოირჩევა მაღალი აკადემიურობით, განათლების დარგში და კერძოდ კი, უცხო ენების სწავლების მხრივ, ქვეყანაში არსებული პრობლემების სიღრმისეული ანალიზით. წიგნში სისტემატიზებულია მრავალი ცნება და ტერმინი უცხო ენის სწავლების მეთოდიკისა და პედაგოგიკის, ასევე ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით.

აღნიშნული ნაშრომი კრავს კავშირს თანამედროვე პრაქტიკულ, პრაგმატულ მიდგომასა და ტრადიციულ სამეცნიერო კვლევას შორის უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში; ამით მიუთითებს, რომ აუცილებელია ამ სფეროში ათწლეულობით დაგროვილი მწყობრი თეორიული ცოდნა ინგლისური ენის პედაგოგის საქმიანობის საფუძველს წარმოადგენდეს.

უდავოა, რომ წიგნი ინგლისური ენის პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის საიმედო ცნობარი და გზამკვლევია, ხოლო ამ დარგის მკვლევრებისთვის – თეორიული ცოდნის მდიდარი რესურსი.

ლია თოდუა
განათლების მეცნიერებათა დოქტორი



5 ლარი
12 ლარი



10 ლარი
9 ლარი
გამომცემლობა „ახალი განათლება" გთავაზობთ

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება", ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

წიგნის თარო


წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა
წიგნი III
XX საუკუნის
მწერლობა

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლ.) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა

15 ლარი

ტექსტის გააზრება ანალიტიკური წერა

15 ლარი

პროფესიული უნარები 300 მნიშვნელოვანი კითხვა-პასუხებით

8 ლარი

ახალი განათლება
რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
იბეჭდება სტამბა „კოლორში" კოლორ ჯგუფი მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
ფასი – 2 ლარი